გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№82 (977) 30 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ციმბირის ციხის კარცერში სასწაულით გადარჩენილი პატიმრის ისტორია



გვ. 9

პატიმრის დღიური

# მიხეილ სააკაშვილის საქმე №1



## ექსპრეზიდენტს იქერენ?

გვ. 3

## ზაქარია ქუცნაშვილი: „დარწმუნებული ვარ, საზოგადოებას სააკაშვილისთვის ბრალის დამტკიცება გაუხარდება"

გვ. 2

## სამართლიანობის აღდგენა – დასაწყისი თუ დასასრული



## ექსკლუზიური ინტერვიუ დავით კირვალიძესთან

რას ითხოვს ევროკავშირი ქართველი ფერმერებისგან და სოფლის მეურნეობის რომელი პროექტი გავა ექსპორტზე ევროპაში?

გვ. 5

## „საქართველოს ბანკი" თბილისის 9 საკვანძო ქუჩის პანდუსებით აღჭურვას დააფინანსებს

გვ. 9

„სიცოცხლის ხე" და „სოცკოლექსი" ჭავჭავაძის, მელიქიშვილის, პეკინისა და ყაზბეგის გამზირების, ასევე კოსტავას, შარტავას, ჯიქიას, ქავთარაძისა და ჩოლოყაშვილის ქუჩების ტროტუარების სრულად ადაპტირებას მოახდენენ

## 61-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები აქციებით იმუქრებიან

გვ. 7

# ზაქარია ქუცნაშვილი: „დარწმუნებული ვარ, საზოგადოებას სააკაშვილისთვის ბრალის დამტკიცება გაუხარდება“



რუსუდან შელია
557-100-768

**მიხეილ სააკაშვილისა და მასთან ერთად, რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის წევრები „ქართული ოცნების“ მმართველობის დასრულებითა და რევოლუციით იმუქრებიან. ექსპრეზიდენტიც ბოლო პერიოდში გავრცელებულ განცხადებებში საქართველოში სწორედ ხალხის მოთხოვნით ჩამოსვლაზე მიანიშნებს, თუმცა მანამდე პროკურატურაში არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. რა ბერკეტი აქვს ყოფილ სახელისუფლო გუნდს რევოლუციის დასაანონსებლად და მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენების გამო, შეექმნება თუ არა პრობლემები ხელისუფლებას დასავლეთთან, „ვერსიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი ესაუბრება.**

— ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა გლობალურ ჭრილში წარმოაჩინოს, არადა ამ ველურ დანაშაულზე პასუხი უნდა აგოს. კანონზე მაღლა არავინ დგას და ვერც ვერავის გადააბრალებენ იმ სისხლიან დღეებს. მაშინ გამოვიდეს მიხეილ სააკაშვილი და თქვას, არაფერ შუაში ვარ და მიტინგის დარბევის შესახებ ტელევიზიით ან რადიოთი შევიტყვეო. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის ტვირთი ვანო მერაბიშვილზე გადავა, თუმცა ისიც ყველამ იცის, რომ მაშინ პრეზიდენტის გარეშე გადაწყვეტილების მიღებასა და მოქმედებას ვერავინ გაბედავდა.

— **მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენების შემდეგ ამერიკელი სენატორები საქართველოს ხელისუფლებით იმედგაცრუებულები არიან. პროკურატურის გადაწყვეტილება ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს არ დააზარალებს და არც დასავლეთთან ურთიერთობაში გახდება შემაფერხებელი ფაქტორი?**

— ეს სენატორების განცხადებაა და არა ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაციის პოზიცია. ამერიკაში სენატორები ისევე, როგორც საქართველოში პარლამენტის წევრები აბსოლუტურად თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ პოზიციას. აქ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია — მიხეილ სააკაშვილი პასუხისმგებლობას გაურბის. კანონზე მაღლა კი არც დასავლეთში აყენებენ ვინმეს. თუ მართალი ბიჭია სააკაშვილი, ჩამოვიდეს და პროკურატურაში არსებულ კითხვებს უპასუხოს. ამის ნაცვლად, საქართველოდან გაიქცა, კომფორტულ პირობებში ცხოვრობს. მეტიც, საბურთალოს რაიონში ხუთსართულიანი რეზიდენცია აგვიშენა და ცდილობს შექმნას ილუზია, თითქოს მალე დაბრუნდება და საბურთალოს ქედზე გამარჯვებული მოგვევლინება.

— **სააკაშვილი ბოლო პერიოდში სწორედ მომავალ გამარჯვებაზე საუბრობს, რომ საქართველოში ხალხის მოთხოვნით ჩამოვა და მის შეჩერებას ოლიგარქები ველარ შეძლებენ. რევოლუციით იმუქრებიან მისი თანაგუნდელებიც...**

— რევოლუციას საზოგადოებაში სოციალური საფუძველი სჭირდება. სწორედ საზოგადოება უნდა იზიარებდეს პროტესტის სამართლიანობას. სააკაშვილის მხარდასაჭერად ქართველი ხალხი ქუჩაში არ გამოვა. ეს ჩვეულებრივი მუქარა და შანტაჟია, რისი ბერკეტიც ნაციონალურ მოძრაობას არ გააჩნია. პირიქით, დარწმუნებული ვარ, საზოგადოებას მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის დამტკიცება გაუხარდება, რადგან ის ათასობით და ასი ათასობით ადამიანი, რომლებიც მიტინგზე იდგნენ და მაშინდელმა სამართალდამცავებმა უმოწყალოდ სცემეს, არსად წასულა, ამ ქვეყანაში ცხოვრობენ.

— **ანუ მიხეილ სააკაშვილის საქმით კოალიცია ყბადაღებული სამართლიანობის აღდგენის პროცესს იწყებს?**

— სიმართლის დადგენას ქართული საზოგადოება დიდი ხანია ელის. ეს გაბოროტებული და აგრესიული ადამიანები სამართალს ითხოვენ. დღეს ციხეში ხვდებიან იმის გამო, რომ ერთმანეთთან თუნდაც მსუბუქად ჩხუბობენ და როგორ შეიძლება, თუნდაც ყოფილ მაღალჩინოსნებს ვაპატიოთ მოქალაქეების დარბევა, დასახიჩრება? მათ შეძლეს ბევრი რამის შეფუთვა ისე, რომ საზღვარგარეთ აბსოლუტურად სხვა კუთხით ჩანდა, თუმცა ჩვენ ხომ ამას ვხედავდით და ყველაფერი საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ? უკვალოდ არაფერი ჩაივლის და პროცესი აუცილებლად გაგრძელდება. რა თქმა უნდა, გამოძიებაც ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარდება და კითხვები, რომელიც შეიძლება დასავლეთში გარკვეულ ჯგუფს აქვს, მტკიცებლებების წარმოდგენის შემდეგ გაქრება.

ვერსიანიუსი

## პარლამენტის წევრს სამხედრო სამსახურში არ გაიწვევენ

სამაგიეროდ, გაწვევას მეცნიერები და პედაგოგები დაექვემდებარებიან, რომლებიც ჯერ კიდევ მოქმედი კანონის გათვალისწინებით, იმ პირთა ჩამონათვალში არიან, ვისაც კანონი სამხედრო სამსახურში გაწვევისგან ათავისუფლებს.

ეს ერთ-ერთი ცვლილებაა იმ ცვლილებათა პაკეტიდან, რომელიც მთავრობამ მოამზადა. პროექტის ავტორი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის თანახმად, სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თავისუფლდებიან: ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილი პირი; პირი, რომელმაც სამხედრო სამსახური სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში გაიარა; პირი, რომელიც სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვისაა ნასამართლევი; პირი, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ, შრომით სამსახურს; პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას; ერთადერთი ვაჟი ოჯახში, რომლის ერთი წევრი მაინც დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ან სამხედრო სამსახურის გავლისას. ასევე, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან გაათავისუფლოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული წვევამდელი.

ამ ჩამონათვალიდან ამოიღებენ იმ პირებს, ვინც პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას ეწევა. ჩამონათვალს ემატება საქართველოს პარლამენტის წევრები.

მოქალაქის სამხედრო სამსახურში გაწვევის მაქსიმალური ასაკი 27 წელია; წინა მოწვევის პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით, 21 წლამდე შემცირდა სადეპუტატო ასაკის ცენზი. საკანონმდებლო პაკეტის პარლამენტში განხილვა დაწყებულია.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მანანა ბერიკაშვილი და ბადრი ბაგრატიონ გრუზინსკი თანამდებობიდან გაათავისუფლეს



კულტურის სამინისტროში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. როგორც მანანა ბერიკაშვილი აცხადებს, ახალი მინისტრის ადგილას, თავადაც ანალოგიურად მოიქცეოდა: **„აუცილებლად უნდა მოვიდეს თავის გუნდთან ერთად. მეც ასე მოვიქცეოდი, რადგან ადამიანს სჭირდება საყრდენი, ის ადამიანები, რომელთა პროფესიონალიზმში ეჭვი არ ეპარება. შეუძლია, მათ დაეყრდნოს. მგონი, ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა და კარგია“.**

თავის მხრივ, ბადრი ბაგრატიონ გრუზინსკი აცხადებს, რომ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია უკვე მიიღო. თუმცა, არ პასუხობს კითხვაზე, რის საფუძველზე გამოუშვეს კულტურის სამინისტროდან.

კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე აცხადებს, რომ, როცა უწყებაში პირველი პირი იცვლება, ცხადია, რომ ცვლილებებიც ხდება: **„ახალ გუნდთან ერთად მოვდივარ. უფრო გლობალური სტრუქტურული ცვლილებაა საკადრო ცვლილება, ვიდრე რაიმე კონკრეტული პრეტენზია. ძალიან მნიშვნელოვანია, ერთი ხედვის, ერთი მსოფლმხედველობის ხალხი მოვიდეს“.**

*„პირველი“*



## უვადო პატიმრობასთან დაკავშირებით კანონში ცვლილებები შედის

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განმარტებით, ცვლილების განხორციელება ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

თუკი დღეს მოქმედი კანონით, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვა შეიძლება, თუ პირს მოხდილი აქვს 25 წელი, ახალი ინიციატივის მიხედვით 25 წელი 20 წლამდე შეიცვლება: **„საუბარია, 25 წელი 5 წლით შემცირდეს და 20 წლის სასჯელის მოხდის შემდეგ უფლება ჰქონდეს პირს, ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხი განიხილოს სპეციალურმა კომისიამ. იყო მოსაზრება, რომ ამ საკითხზე იყოს კომპლექსური განხილვა. მთავარია, კანონის ინიცირება ხდება. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ეს არის სამართლიანი გადაწყვეტილება“.**

პარლამენტი ახალ ინიციატივაზე სავარაუდოდ საშემოდგომო სესიაზე იმსჯელებს.

*„ინტერპრესნიუსი“*



## შსს-მ თაღლითური დაჯგუფების წევრები დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თაღლითური დაჯგუფების ოთხი წევრი: 1989 წელს დაბადებული ამირან ა, 1978 წელს დაბადებული მამუკა ა, 1982 წელს დაბადებული იაგო გ. და 1986 წელს დაბადებული ლევან გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები მოქალაქეებისგან ავტომანქანებსა და ძარებს ყიდულობდნენ, შემდეგ გაყალბებული „ვინკოდები“ და სახელმწიფო ნომრები იმავე მარკისა და მოდელის ავტომანქანებზე თაღლითურად გადაჰქონდათ. გაყალბებულ „ვინკოდიან“ ავტომანქანებს, სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ბანკებში გირავნობით ტვირთავდნენ, რითიც ამ ორგანიზაციებს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი მიაყენეს. გამოძიებით დადგენილია, რომ ამ ორგანიზაციებისათვის მიყენებულმა ზიანმა 85 257 ლარი შეადგინა.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მე–3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*

## მურატ ილდირიმი დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდის მხარდასაჭერად ბათუმში ჩამოვა

ბათუმში, 4 აგვისტოს დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდის მხარდასაჭერად, ლეიკემიითა და სოლიდური სიმსივნეებით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად თურქი მსახიობი მურატ ილდირიმი ჩამოვა.

დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდის ინფორმაციით, მსახიობი ბათუმს 4 აგვისტოს 16:00 საათზე ეწვევა. იმავე დღეს, 19.00 საათზე, სასტუმრო „შერატონში“ პრესკონფერენცია გაიმართება, მოგვიანებით კი სასტუმრო „ინტურისტში“ იგეგმება საქველმოქმედო ვახშამი.

ფონდის ინფორმაციით, შემოსული თანხა დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხება.

*„ინტერპრესნიუსი“*



# მიხეილ სააკაშვილის საქმე №1

## ექსპრეზიდენტს იჭერენ?!

რუსუდან შელია
557-100-768

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს დაუსწრებლად ბრალი უკვე წაუყენეს და მთავარ პროკურატურაში მის ადვოკატ ოთარ კახიძეს ბრალის დადგენილებაც გადაეცა. სააკაშვილთან ერთად, ბრალდების შესახებ დადგენილებები გამოტანილია ვანო მერაბიშვილის, ზურა ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას მიმართაც — შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრსა და თბილისის ყოფილ მერს ბრალდება ე.წ. მატროსოვის ციხეში წარუდგინეს. საკმაოდ მძიმე ბრალდების მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერები პოლიტიკურ დევნაზე საუბრობენ და ხელისუფლებას პუტინის დავალების შესრულებაში ადანაშაულებენ. არადა, 2007 წელიც ყველას კარგად ახსოვს, „იმედში" შეჭრის კადრებიც, როგორც მინიმუმ, მთელმა საქართველომ ნახა და ბადრი პატარკაციშვილის ქონებაც რომ უკანონოდ გადანაწილდა, ამას გარდაცვლილის ოჯახი წლებია სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციაში ამტკიცებს.

ნაციონალური მოძრაობის ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ჩვენება მცხეთა-მთიანეთის ყოფილმა გუბერნატორმა, ვასილ მაღლაფერიძემ მისცა — როგორც ირკვევა, იგი პროკურატურამ ორი კვირის წინ დაკითხა. ვასილ მაღლაფერიძე ვანო მერაბიშვილის კაბინეტში გამართულ თათბირს იხსენებს, სადაც შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრისგან გუბერნატორებმა თბილისში გამართულ მიტინგზე რეგიონებიდან ჩამოსული მოქალაქეების ცემის, დაკავების, დაშინებისა თუ მოსყიდვის ბრძანება მიიღეს. გთავაზობთ ვასილ მაღლაფერიძის ჩვენების შემოკლებულ ვერსიას, რომელიც 2007 წლის ნოემბერში სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა: **„2007 წლის 5 ნოემბერს, კვირას, დაახლოებით დილის 11 საათზე, მობილურ ტელეფონზე სამთავრობო ოთხნიშნა ნომრიდან დამირეკეს — საღამოს ცხრა საათზე მინისტრმა გუბერნატორებს თათბირზე მოსვლა გთხოვათო. დრო რომ მოვიდა, შენობის მეხუთე სართულზე ავედი და პირდაპირ ვანო მერაბიშვილის კაბინეტში შევედით. იქ დაგვხვდნენ ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა, კუდ-ის ყოფილი უფროსი დათა ახალაია, კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი, ამირან მესხელი, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი გოგა ხაჩიძე, იმერეთის გუბერნატორი კაკო ბობოხიძე და ქვემო ქართლის გუბერნატორი ზურაბ მელიქიშვილი. ვანო ჩქარობდა, დავიწყოთო. თან უგულავას უთხრა შეთამაშებული ხუმრობით, ზედმეტებმა დაგვტოვონ, ხელს ნუ გვიშლი, ოტიაშვილთან (თუ უტიაშვილთან — კარგად ვერ გავიგე) გადიო. შთაბეჭდილება მრჩება, წინასწარ შეთანხმებულები იყვნენ, რომ იგი ამ ლაპარაკს არ უნდა დასწრებოდა. ვანომ კიდევ იხუმრასავით, ვინმე ხომ არ არის ზედმეტიო, მერე გოკას შეხედა და, აი, კიდევ ერთი ზედმეტი, მაგრამ, რადგან დარჩი, იყავიო. ახლა ამ ეპიზოდს რომ ვიხსენებ, მგონია, გოკა ვერ მიხვდა, რომ უნდა გასულიყო და მას არ მართებდა იქ დარჩენა, რათა უგულავასავით ფორმალურად „თეთრი ხელთათმანებით" დარჩენილიყო... დაიწყო ვანომ, ორ საკითხთან დაკავშირებით მინდა თქვენთან საუბარიო. პირველი, უნდა იყოთ ძალიან მხნედ, ყველამ უნდა დაგინახოთ, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, რაც ქუჩაში ხდებაო. ახლა კი სერიოზულ ნაწილზე გადავიდეთო — ეს ნაძირლები ძალიან გაბლატავდნენ, ორ დღეში მოინდომეს იმის წაღება, რისთვისაც ჩვენ ოთხი წელი ვიბრძოდით. კაცმა რომ თქვას, რაიონებიდან მართლაც არ ჩამოსულა ბევრი ადამიანი, მაგრამ ვინც ჩამოვიდა ან აწი ჩამოვა, ყველას უნდა მიხედვა. უკვე დავალებული აქვს კონსტიტუციურს, მაგრამ თქვენც აქტიურად უნდა ჩაერთოთ ამ პროცესში. შეადგინეთ სიები ყველა მიტინგზე ჩამომსვლელის, შეუშვით თქვენი ხალხი მიტინგზე, არც ერთი ადამიანი არ უნდა ჩავიდეს უკან გაულახავი. სახალხოდ, სათითაოდ! მაგალითად, გურიიდან ან ზუგდიდიდან ჩამოსული ადამიანს უკან გზაზე გააჩერებენ ქუთაისთან და დაუნგრევენ თირკმელებს. გენერალური პროკურორი აგერ არის და გვაძლევს ნებართვას... მოკლედ, ისე უნდა გაილახოს, რომ დიდხანს ვერ დადგეს ფეხზე, სახეზე ერიდეთ, არ არის აუცილებელი, ძირითადად თირკმელებში, მუცელში, ვინც არ იცის, როგორ, გაიარეთ კონსულტაციები ახალაიასთან... ვინც ცოტა „მოშავოა" ან ეგეთი ტიპი, ჯიბეში ნარკოტიკი და ბაჩოსთან. გარეთ ერთი ახალაია მოუვლის, შიგნით მეორე ახალაია დახვდება. ცემა აუცილებელია, რადგან რაიონებში ჩადიან მიტინგებზე ნამყოფი ადამიანები და იწყებენ იქ ბლატაობასა და ხალხის შემოკრებას, გალახული კაცი კიდე საქართველოში „ჩმორია" და გავლენას ეგრევე კარგავს. შექმნით ჯგუფებს, პირველად რომ დაბეთქავენ ვიღაცას, მერე ისეთ აზარტში შევლენ, ვერ გააჩერებთ. ეს ბევრჯერ გამოვცადეთ. ორი საქმე კეთდება, ბოზები იტ......ან და ჩვენი რიგები მტკიცდება. თუ ვინმე ბიზნესმენია შენიშნული ოპოზიციის დაფინანსებაში, აგერ კეზერაშვილს უთხარით და მიხედავს. ეპარქიებთან იმუშავეთ, იმ ბიზნესმენებთან, ვინც ეპარქიებს ეხმარებიან, რომ ხალხს სისულელეები არ ელაპარაკონ. მიტინგზე გადახედეთ, ყველას გვყავს ნაცნობი სპორტსმენი, მსახიობი, ეგეთი ტიპები, დაურეკეთ, გადმოიბირეთ, დაარწმუნეთ, შეაშინეთ, თუ გინდათ მოისყიდეთ, ოღონდ ფული არ მომთხოვოთ"...** 2007 წლის 5 ნოემბრის თათბირი სახალხო დამცველის 2008 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც მოხვდა, თუმცა მაშინ აპარატი ამაოდ ცდილობდა პარლამენტისგან კომისიის შექმნაზე თანხმობის მიღებას, რომელსაც სწორედ ვანო მერაბიშვილის ორგანიზებით ჩატარებული თათბირის დეტალები უნდა გამოეძიებინა. სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის ანგარიში პროკურატურის ამჟამინდელ განცხადებაშიც მოხვდა: **„თათბირზე ივანე მერაბიშვილის მიერ გაცემული დავალება — ადამიანების დაშინების, ცემისა და დაპატიმრების შესახებ სისრულეში მოყვანილ იქნა 2007 წლის 7 ნოემბერს, როდესაც გაიცა ბრძანება აქციის დარბევის თაობაზე".**

მთავარი პროკურატურის მიერ რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის პასუხისგებაში მიცემას საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ქართველ ხალხს, მთელ მსოფლიოს, პარტნიორ და მეგობარ სახელმწიფოებს, შესაძლებლობა ექნებათ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები გააანალიზონ: **„2012 წლის პირველ ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ხალხისგან მკაფიო დავალება მიიღო — შეექმნა ისეთი სამართლებრივი სისტემა, როგორსაც იმსახურებდა, და ეს, პირველ რიგში, სამართლიანი სისტემის შექმნას გულისხმობდა. ხალხისგან მივიღეთ მანდატი, რომელიც ამ დავალებას ზედმიწევნით შესრულების ვალდებულებას გვაკისრებს. ქართველ ხალხს სურს, საბოლოოდ დაესვას წერტილი დაუსჯელობას, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენ ქვეყანაში ბატონობდა. ხალხი მის მიერ არჩეული ხელისუფლებისგან მოითხოვს ისეთ სისტემას, სადაც ჩადენილი დანაშაულისთვის კანონის წინაშე პასუხს აგებს საქართველოს თითოეული მოქალაქე და, სადაც თანამდებობა ვერ იქნება ინდულგენცია... დღეს, ყოველგვარი პოლიტიკური ანგაჟირების გარეშე, მთავარმა პროკურორმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და პასუხისგებაში მისცა ისინი, ვინც, სავარაუდოდ, დაარღვია კანონი. პროცესი აბსოლუტურად ღიაა — ქართველ ხალხს და მთელ მსოფლიოს, ყველა ჩვენს პარტნიორ და მეგობარ სახელმწიფოს, ყველა დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა, სრულად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გააანალიზოს ამ მნიშვნელოვან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები".**

პროკურატურის გადაწყვეტილებას ადეკვატურ პროცესად მიიჩნევს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **ირაკლი სესიაშვილიც** და აცხადებს, რომ, თუ პროკურატურას მყარი მტკიცებულებები გააჩნია, სტატუსის მიუხედავად დანაშაულზე ყველამ პასუხი უნდა აგოს: **„ყველაფრის სათავეში პოლიტიკური მაფია იდგა, მისი ხელმძღვანელი კი მიხეილ სააკაშვილი გახლდათ. შესაბამისად, თუ პროკურატურას მყარი მტკიცებულებები გააჩნია, ნებისმიერ შემთხვევაში, ვინც უნდა იყოს ის, პასუხი უნდა აგოს. 7 ნოემბრისა და „იმედის" წართმევის საქმით მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება აბსოლუტურად ადეკვატურია".** ხელისუფლების პოზიციას ამერიკის შეერთებული შტატების სენატორები არ იზიარებენ და მიხეილ სააკაშვილისთვის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის გამო, იმედგაცრუებას გამოხატავენ: **„პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი მთავრობა არ იყო უნაკლო, ნებისმიერი დემოკრატიისათვის მნიშვნელოვანია თავიანთი კანონების დაცვა, თუმცა სამართლებრივი დევნა არ შეიძლება გახდეს პოლიტიკური იარაღი და ეროვნული გახლეჩის წყარო, განსაკუთრებით, როდესაც საქართველო დღეს ბევრი მძიმე გამოწვევის წინაშეა. ჩვენ და ბევრი სხვა მოვუწოდებდით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და სხვა ქართველ ლიდერებს, ფოკუსირება მოეხდინათ მომავალზე და არა წარსულზე, ქვეყანა წაეყვანათ წინ და არა უკან. თითქმის შეუძლებელია მივხვდეთ რამდენად შეესაბამება ამ მიზანს მთავრობის გადაწყვეტილება, რომ წინა ხელისუფლების უმეტესობა სასამართლოს წინაშე წარდგეს. საქართველოს ლიდერები კარგად უნდა დაფიქრდნენ, რა მიმართულებით მიჰყავთ ქვეყანა".** სენატორების განცხადებას **ირაკლი ალასანიამ** უპასუხა და მათ საქართველოს კანონმდებლობის პატივისცემისკენ მოუწოდა: **„სენატორები უნდა დაელოდონ მართლმსაჯულებას... ეს ყოველი ჩვენგანის თვალწინ ხდებოდა. მოსახლეობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალები გამოიყენეს. მთავარია, გამოძიება ობიექტურად წარიმართოს, სასამართლო კი დამოუკიდებელი იყოს. ეს გამაფრთხილებელია სხვა ხელისუფლებებისთვის, რომლებიც საქართველოში იქნება. პირველ რიგში, ჩვენი ხელისუფლებისთვის — კანონის წინაშე ყველა თანასწორია".**

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით. ბრალდების ადრესატი საზღვარგარეთ იმყოფება და საქართველოში ჩამოსვლას ჯერჯერობით არ აპირებს. რას ითვალისწინებს ასეთ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა და რა სამართლებრივ პროცედურებს უნდა მიმართოს პროკურატურამ ბრალდებულებისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისთვის? ამის გასარკვევად იურისტ **ლევან ალაფიშვილს** დავუკავშირდით. მისი განმარტებით, პროკურატურის გადასაწყვეტია, გამოაცხადებს თუ არა მიხეილ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნას: **„სამართლებრივად, პიროვნებისთვის ბრალის წაყენების შემდეგ საგამოძიებო ორგანოების მთავარი ამოცანა ბრალდებულისთვის აღმკვეთი ღონისძიების წაყენების საკითხია. თუ პირი უარს აცხადებს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, არც დაკითხვაზე ცხადდება და პროკურატურა ჩათვლის, რომ ბრალდებულის ქმედებითა თუ უმოქმედობით გამოძიებას ხელი ეშლება, მისი პრეროგატივაა პირზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადოს. ამის შემდეგ, თუ ბრალდებულს საზღვარგარეთ დააკავებენ, კონკრეტულად იმ სახელმწიფოს სასამართლო წყვეტს მოხდება თუ არა დაკავებულის საქართველოში ექსტრადირება".**

### ვერსიანიუსი

## საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას აშშ-ს მოკავშირის სტატუსი მიენიჭება



ამერიკელმა სენატორებმა აღნიშნული ქვეყნებისთვის ნატო-ს წევრობის გარეშე აშშ-ს მოკავშირის სტატუსის მინიჭების შესახებ კანონპროექტი საბოლოო მოსმენით მიიღეს.

facenews.ua-ს ინფორმაციით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ სახელმწიფოებში საგარეო აგრესიიდან დაცვის მიზნით აშშ-მ შესაძლოა, საკუთარი ჯარი შეიყვანოს. პროექტი რეკომენდაციით მიმართავს აშშ-ს პრეზიდენტს ბარაკ ობამას გაზარდოს უკრაინის, საქართველოს, მოლდოვას, აზერბაიჯანის, ბოსნია და ჰერცეგოვინას, კოსოვოს, მაკედონიის, მონტენეგროს და სერბეთის შეიარაღებულ ძალებთან აშშ-ს შეიარაღებული ძალების ურთიერთქმედება, ასევე გააძლიეროს აშშ-ის და ნატო-ს დახმარება ამ ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, პროექტი ითვალისწინებს ბუნებრივი აირის შესახებ კანონში ცვლილებას, რომლის მიზანიც მსო-ს წევრი ქვეყნებისთვის გაზის ექსპორტზე საგანგებო პროცედურების დამტკიცებაა და მოუწოდებს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოს, კერძო საერთაშორისო ინვესტიციების კორპორაციას და მსოფლიო ბანკს, მხარი დაუჭირონ საქართველოს, უკრაინას, მოლდოვას ბუნებრივი აირის და ნავთობის მარაგის ექსპლუატაციისა და ენერგიის ალტერნატიური წყაროების განვითარების კუთხით. გარდა ამისა, დოკუმენტის რეკომენდაციაა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების, დამოუკიდებელი მედიის, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარება და გამყარება.

*„პირველი"*



# „მეძახონ პოპულისტი, სულ ფეხებზე მკიდია!“

## როგორ დაზოგინებს საკრებულოს ნახევარ მილიონს და რას გააპროტესტებს ხალხთან ერთად ალექსანდრე ელისაშვილი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**საკრებულოს ყველაზე აქტიური და პოპულარული დეპუტატის სტატუსს ალექსანდრე ელისაშვილი რამდენიმე კვირაა არ თმობს. ყოფილი ჟურნალისტები არ არსებობენ და ელისაშვილიც, უახლოეს მომავალში, აპოლიტიკური, „თბილისური“ გადაცემის წაყვანაზე ფიქრობს. იმის მიუხედავად, რომ კრიტიკისა და ჭორების ქარცეცხლში უკვე ჩადგა, ფარ-ხმლის დაყრას მაინც არ აპირებს და თბილისის ხელისუფლებას საქმიანად „ემუქრება“. ალექსანდრე ელისაშვილი „ვერსიას“ უამბობს, როგორ დაზოგინებს საკრებულოს ნახევარ მილიონს და რას გააპროტესტებს ხალხთან ერთად ორი კვირის შემდეგ.**

**— საკრებულო ჭაობს შეადარეთ, რადგან ყველა პოსტი ხელში „ოცნებამ“ ჩაიგდო. ეს ამბავი ოპოზიციამ სხდომის მერე მაინც თუ გააპროტესტა?**

— ამ ამბავს დიდად აღარ ჩავყოლივარ. „ოცნებაში“ ბევრი მეგობარიც მყავს და კარგი ნაცნობიც. უბრალოდ, ვუთხარი, ასეთი საქციელი უხერხულია და ისევ თქვენთვისაა ცუდი, თორემ მე არაფერი დამაკლდება-მეთქი. ამით „ქართულმა ოცნებამ“ თავი წარმოაჩინა, თორემ მე ყველაზე დიდი თანამდებობა მაქვს — საბურთალოელებმა ამირჩიეს! არ შეიძლება, ნაციონალებზე უარესად მოიქცე და ოპოზიციის მიუღებლობის პოლიტიკა გააგრძელო. ზოგადად, პოლიტიკაში „მძულხარ“ ან „მიყვარხარ“ აღარ უნდა არსებობდეს და კრიტიკაც უფრო საქმიანი გახდება. არც იმ პამპულაობას უნდა ვუყურებდეთ, რაც თუნდაც ბოლოს, დებატებზე ვნახეთ პარლამენტში. თუ ვინმე დასაჭერია, მძარცველია და ფულს იპარავდა, დაიჭირონ, ამდენი წამოძახება და რეპლიკა რა საჭიროა?!

**— „პამპულაობაში“ პარლამენტს არც საკრებულო ჩამორჩება. „თეთრი ყვავის“ პოზიციაში ხომ ხართ — მხოლოდ თქვენ ხმაურობთ.**

— ჩემი მისია იქნება, საკრებულო და პოლიტიკა, თბილისის დონეზე მაინც, საქმიანი გახდეს. ჩემს იდეებს მაინც გავახმოვანებ, ერთი ვიქნები, თუ 41-ნი გავხდებით. არც პრემიების თემის წამოჭრისას ვიყავი მარტო.

**— ამ თემის გამო „ოცნებელმა“ ჯაბა სამუშიამ უზრდელი გიწოდათ.**

— მიწოდა და პასუხიც მიიღო — სხდომის შემდეგ კარგად ავუხსენი, რომ პრემიების თემაზე ხმა აღარ ამოეღება. მთავარია, პრემიებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. მალე, საკრებულო სამსახურეობრივი მანქანების თემაზეც კონკრეტულად იმოქმედებს.

**— დაგპირდნენ, სამუშაო ჯგუფი შეიქმნებაო. საქმე დაიძრა?**

— საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, სამუშაო ჯგუფი ორი კვირის ვადაში შეიქმნება და წარმოადგენენ პროექტს სამსახურეობრივი მანქანების ოპტიმიზაციის საკითხზეო. დაველოდები, თუმცა, თუ შედეგი არ დაიდო, 2 კვირის თავზე ოპტიმიზაციის ჩემეულ ხედვას წარმოვადგენ. ვიტყვი, რამდენი, როგორ იხარჯებოდა და სამსახურეობრივი ავტოპარკის შექმნით რა თანხას დავზოგავთ.

**— საკრებულოში პრობლემის გადაწყვეტამდე რომც მივიდეთ, უარესს პარლამენტი აკეთებს — დეპუტატის ხელფასი იზრდება, მანანა კობახიძემ კი განაცხადა, ახალი მანქანებიც გვჭირდებაო.**

— მე საკუთარ თავსა და საკრებულოზე ვარ პასუხისმგებელი. გარწმუნებთ, საკრებულოში მანქანების ოპტიმიზაცია დაიწყება. ჩემს უკან ამომრჩევლები დგანან. კვლევა ჩაატარონ და ნახავენ, ამ თემაზე მოსახლეობაში როგორი პროტესტია. ჯერ ველი, მერე ჩემ ვერსიას წარმოვადგენ, საკითხს სახელობით კენჭისყრაზე დავაყენებ და, თუ საკითხი ჩავარდა, ნახავთ, რა უბედურება იქნება საკრებულოსთან.

**— თქვენ მიმართაც ითქვა პრეტენზია, ზედმეტად აქტიურობს და ამ ხმაურით, „ოცნების“ მიერ გაპარებულ საკითხებს მალავს... საკრებულოს კარი საინიციატივო ჯგუფებისთვის დაიხურებოდა, რომ არა სოსო მანჯავიძე, რომელმაც ეს მუხლი შეაცვლევინაო.**

— რამდენი უფიქრია ვიღაცას... სოსო მანჯავიძემ ამ მუხლს ყურადღება რომ მიაქცია, კარგია. ჩემი პრობლემა ისაა, რომ იურიდიული ხლართების ამოცნობა მიჭირს და იურიდიულ სამსახურს ხშირად ვეკონტაქტები, რაღაცების განსამარტად. ყველაფერი ხელისგულზე ჩანს — ხალხის თამაშს ვთამაშობ და ეს რაღაც ბოდვაა. დილიდან საღამომდე ხალხს ვიღებ, მერე ისევ ქუჩა-ქუჩა დავრბივარ, მოსახლეობის პრობლემების მოსასმენად. უკვე მივეჩვიე, ჩემ შესახებ ბევრ სისულელესა და არამართებულ კრიტიკას რომ ვისმენ. ნებისმიერ რამეზე შეიძლება კუდის გამობმა. „სითი პარკზე“ რაღაც ვთქვი, პოპულიზმიაო, პრემიებზე ვთქვი — პოპულიზმიაო, მანქანებზეც იგივე. პრემიებზე საქმე უკვე გაკეთდა და კმაყოფილი ვარ. ახლა მინდა, მანქანების თემაზეც შედეგი მივიღო და მეძახონ პოპულისტი, სულ ფეხებზე მკიდია! სამაგიეროდ, თუ ავტოპარკი გაკეთდა, ნახევარ მილიონ ლარს დავზოგავთ და თბილისში რომ 30 000 უსახლკარო ოჯახია, იქნებ, მცირე ნაწილს მაინც დავეხმაროთ. „სითი პარკი“ თუ გავაგდე და ქალაქს 10 მლნ დავუზოგე, მერე სუპერპოპულისტიც მიწოდონ. გააჩნია თემასა და იდეას. ქალაქისთვის სასარგებლო წინადადება ნაციონალებმა რომ დააყენონ, პირველი დავუკრავ ტაშს ისევე, როგორც ეს პრემიებთან დაკავშირებით „ოცნების“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე გავაკეთე.

**— შეიძლება, ეს ვიღაცამ არასწორად გაიგოს და ორმაგი აგენტიც გეძახონ...**

— რაც უნდათ, ის ქნან. ქალაქის საქმე გაკეთდეს და გინდა, ორმაგი დამარქვან, გინდა, მანჯურიის აგენტი, სულ ერთია!

**— ღირდა ამად ჟურნალისტური თავისუფლების დაკარგვა ან ტელევიზიიდან უფრო მეტი საქმის გაკეთება არ შეიძლებოდა?**

— ღირდა! დღეს დილიდან ჩემთან უკვე 12 კაცი მოვიდა. ხალხი 21-ე საუკუნეში, შუაგულ თბილისში, დენის გაყვანაზე საუბრობს. დღეს აქედან მეტს გავაკეთებ, ვიდრე ტელევიზიიდან. იყო დრო, როცა ვერავინ ვერაფერს ბედავდა და ტელეეთერში ღიად ვსაუბრობდი. მაშინ ეს უბრალოდ ჟურნალისტობა კი არა, სამოქალაქო პოზიცია იყო. უსიამოვნო ფაქტი ხდება საკრებულოშიც, თუმცა ამაზე წინასწარ ბევრს ვერ ვისაუბრებ. რამდენიმე თანამშრომელი უკვე გაუშვეს, მათ შორის, საკრებულოს აპარატის უფროსი.

**— იმედია, პოლიტიკური ნიშნით არა... არადა, საკრებულოს თავმჯდომარე დაგვპირდა, შემცირებები არ იქნებაო.**

— სწორედ იმას ვარკვევ, ეს ადამიანი პოლიტიკური ნიშნითაა გაშვებული თუ არა.

**— ზოგადად, პოლიტიკაზე ვისაუბროთ — დაანონსებული ცხელი ზაფხული სახეზეა, ექსპრეზიდენტ სააკაშვილზე ძებნაა გამოცხადებული. ეს ქვეყნის იმიჯზე როგორ იმოქმედებს?**

— ჯერჯერობით, ხელისუფლების მხრიდან კვალიფიციურ მიდგომას ვერ ვხედავ. ქვეყნის იმიჯი ნაკლებად მაინტერესებს — დარწმუნებული ვარ, სააკაშვილის ადგილი ციხეშია. ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და ეს ბრალდებები კვალიფიციურად დაადასტუროს. როცა შს და თავდაცვის მინისტრები ცუდ საქმეებს ჩადიოდნენ და მათ იჭერ, გასაგებია, რომ მათი ზემდგომის, ანუ პრეზიდენტის გარეშე, მსგავსი არაფერი მოხდებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენთან პოლიტიკა ძალიან არასერიოზულია.

**— მერე ვისი ბრალია?**

— იმის, რომ ოპოზიციაში ნაციონალური მოძრაობაა, „ოცნება“ კი ისე მოეშვა, ოპონენტის არასერიოზულ რეპლიკებს ანალოგიური არასერიოზულობით პასუხობს. ქვეყანას რეალური პრობლემები აქვს და ხელისუფლება მათი მოგვარებით უნდა დაკავდეს, თუმცა სააკაშვილის დაჭერა დაუსაქმებელ ხალხს შემოსავალს ვერ გაუჩენს.

**— პოსტები ჩამორიგებულია, საკრებულო როდის ამუშავდება?**

— კომისიებში მუშაობა უკვე დაიწყო. ორ კომისიაში ვარ, ურბანულსა და გარემოს დაცვაში, ორივე სხდომამ საქმიანად ჩაიარა. მქონდა იდეა, ბოლო 1 წლის განმავლობაში გაცემული ნებართვების რევიზიასა და კანონთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხზე. ასევე ვფიქრობ, ახალ მშენებლობებზე ერთი-ორი თვით მორატორიუმიც გამოცხადდეს. უნდა შევისწავლოთ, 2009 წელს მიღებული მიწათსარგებლობის გენგეგმა. ორივე იდეას მხარი დაუჭირეს. კმაყოფილი ვარ. შედეგები უახლოეს დღეებში დაიდება. შევთანხმდით იმაზეც, რომ უახლოეს ხანში თბილისის ეკოლოგიური ვითარების ანალიზი გაკეთდება. იმედი მაქვს, საკრებულო მალე სრული დატვირთვით იმუშავებს!

# დეპუტატის ხელფასის გაზრდაზე საუბარი პოლიტიკური უპასუხისმგებლობაა



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

საპარლამენტო უმრავლესობა ხელფასის გაზრდის საჭიროებას ხედავს. როგორც პარლამენტში აცხადებენ, დეპუტატის გასამრჯელო ადეკვატური არ არის, ბევრ უწყებაში დეპარტამენტის უფროსებს უფრო მაღალი ანაზღაურება აქვთ, ვიდრე პარლამენტის თავმჯდომარეს, ვიცე-სპიკერებს, დეპუტატებს. საკითხი რიგგარეშე სხდომაზე, პარლამენტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვისას დადგა. პირველი განცხადება ზაქარია ქუცნაშვილმა გააკეთა, რომელიც დაინტერესდა, არის თუ არა გათვალისწინებული პარლამენტის წევრის ხელფასის ზრდა 2015 წლის ბიუჯეტით. მისი თქმით, საპარლამენტო **მმართველობის რესპუბლიკაში სახელისუფლებო ვერტიკალში ყველაზე დაბალი ხელფასი პარლამენტის წევრებს აქვთ, რაც უსამართლობაა. სამინისტროს დეპარტამენტის უფროსს უფრო მაღალი სახელფასო დანამატი აქვს, ვიდრე პარლამენტის წევრის ხელფასია. ქუცნაშვილის** პოზიცია გაიზიარა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **დავით ონოფრიშვილმა.** მისი თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისში პარლამენტის შენობასთან დაკავშირებული სამუშაოები დასრულებისკენ მიდის, შესაძლოა დარჩეს რეზერვი, რაც „სხვა მიმართულებით გადანაწილების საშუალებას იძლევა“. ონოფრიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარლამენტარის ხელფასი 2000 ლარია, დეპუტატი ხელზე იღებს 1600-ს, ხოლო პრემია საქართველოს პარლამენტში 2013 წლიდან არ გაცემულა. **თინა ხიდაშელი** ონოფრიშვილს არ დაეთანხმა, პარლამენტის დეპუტატების ანაზღაურება არც ისე დაბალი — ყოველთვიურად 3000 ლარზე მეტიაო: **„უნდა განისაზღვროს სისტემა. პარლამენტარს დაბალი ხელფასი აქვს. თუ კანონს სიღრმისეულად გავყვებით, 1600 ლარი გვაქვს ხელფასი, მაგრამ მოსახლეობას ეს ხომ არ აინტერესებს?! დეპუტატის ანაზღაურება ორნაწილიანია: 1600 ლარი ხელფასი და დაახლოებით ამდენივე, დამატებით თანხა, სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისთვის. ჯამში, 3000 ლარზე ცოტა მეტი გამოდის. თანამდებობის პირებს კი ხელფასი უფრო მეტი აქვთ. ეს ნორმალური ანაზღაურებაა. თუ ვინმეს აქვს განცდა, რომ 1600 ლარი აქვს ხელფასი, ესე იგი, სადეპუტატო უფლებამოსილებას არ ასრულებს და ექვითება სანქციებისთვის. სანამ დეპუტატის ხელფასის მომატებაზე ვისაუბრებთ, დეპუტატებმა უფლებამოსილების შესრულება დაიწყონ, სხდომებზე იარონ...“** საპარლამენტო უმცირესობის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი დავით ონოფრიშვილს სიცრუეში ადანაშაულებს: **„ვინმეს სჯერა, რომ პარლამენტის წევრები მხოლოდ 1600 ლარს იღებენ? ეს უბრალოდ ტყუილია! დღეს დამერიცხა პარლამენტის წევრის ხელფასი, სულ 3444 ლარი. ასე იყო შარშანაც. რა არის დასამალი?!“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** აცხადებს, რომ ხელფასის გაზრდაზე მოსაუბრე საპარლამენტო ძალის წარმომადგენლებს პოლიტიკური პასუხისმგებლობის გრძნობა არ აქვთ და ამის გამო, ხალხმა მათ მომავალ არჩევნებზე პასუხი უნდა გასცეს: **„ხელფასის მომატება კი არა, რაც არის, ისიც არ შეესაბამება ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონს. წარმოიდგინეთ, თითქმის 5 ათას ლარამდე ანაზღაურებაზეა საუბარი და ამ დროს, ქვეყანაში პენსიების ოდენობა 150 ლარია, სხვა დახმარებები იმდენად მიზერულია, სათქმელადაც არ ღირს. საუბარი, თითქოს ხელფასები უნდა გაიზარდოს, ნიშნავს, რომ ამ საკითხის დამყენებელი ძალის წარმომადგენლებს პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ აქვთ და ხალხმა მათ არჩევნებზე პასუხი უნდა გასცეს“.**

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# ექსკლუზიური ინტერვიუ დავით კირვალიძესთან



## რას ითხოვს ევროკავშირი ქართველი ფერმერებისგან და სოფლის მეურნეობის რომელი პროექტი გავა ექსპორტზე ევროპაში?

**დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში იგი ერთადერთი მინისტრია, რომელიც თანამდებობიდან საკუთარი სურვილით, განცხადების საფუძველზე გადადგა. ახლა კი ამერიკაში, ქალაქ ვაშინგტონში, კომპანია CNFA-ის დირექტორთა საბჭოს წევრია. კომპანია CNFA მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროექტებს ახორციელებს. სწორედ ამერიკაში შეიტყო, რომ სერბეთსა და ხორვატიაში სოფლის მეურნეობის საკმაოდ წარმატებული „შეღავათიანი აგროსესხების“ პროექტით დაინტერესდნენ და მალე მის განხორციელებასაც აპირებენ. სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი, „ტრაქტორების“ გახმაურებულ სკანდალს საკმაოდ დელიკატურად იხსენებს, მთავრობაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს ოპტიმისტურად აფასებს, მოსწონს, რომ სოფლის მეურნეობის ახლადდანიშნული მინისტრი, ოთარ დანელია უკვე წამოწყებული წარმატებული პროექტების გაგრძელებას აპირებს. როგორ აფასებს მთავრობის ეკონომიკურ გუნდს? რას გულისხმობს ევროკავშირ-საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება? ამ და სხვა საკითხებზე, „ვერსიას“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, სოფლის მეურნეობის ექსმინისტრი, დავით კირვალიძე ესაუბრება.**

**— ბატონო დავით, რას უკავშირდება საკადრო ცვლილებები მთავრობაში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ?**

— ნაკლებად ვარ ყოველდღიურ დეტალებში ჩართული და პასუხის გაცემა გამიჭირდება. ადგილობრივი არჩევნებისა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადების შემდეგ, გარკვეულწილად, ახალი ეტაპი იწყება. ვფიქრობ, პრემიერის ეს გადაწყვეტილებაც ამას უკავშირდება. დამატებითი მიზეზები რამდენიმე თვეში გამოჩნდება.

**— ისე ჩანდა, რომ მთავრობის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების პროექტები სოფლის მეურნეობის სამინისტროში ხორციელდებოდა. როგორ შეაფასებთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობას?**

— 2012 წლის ბოლოდან, ამ წლის შუამდე ჩატარებულ ყველა გამოკითხვაში, სოფლის მეურნეობის სფეროში დადებული შედეგი პირველ ადგილზე იყო ან პირველ სამეულში. ეს სასიხარულოა პირადად ჩემთვის, რადგან უფრო ადრე, სამეულში ან ლიდერად კი არა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ზოგადად, სოფლის მეურნეობა, გამოკითხვებში ვერც კი ხვდებოდა.

**— ირაკლი ღარიბაშვილს არაერთხელ უთქვამს, როგორ ცდილობდნენ მიხეილ სააკაშვილი და კახა ბენდუქიძე სოფლის მეურნეობის დაკნინებას. როგორ დაინგრა სოფლის მეურნეობა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში?**

— სოფლის მეურნეობა სპეციფიკური დარგია, რადგან ეკონომიკის ნაწილიცაა და პირდაპირ დაკავშირებულია სოფელთან. ეს დარგი თანმიმდევრულობას ითხოვს. დიდი ხანი სოფლის მეურნეობას საქართველოში გერის ფუნქცია ჰქონდა, რადგან სახელმწიფო სათანადო ყურადღებას არ აქცევდა, შედეგების სწრაფად დადგომის მოლოდინი კი დიდი იყო. არადა, ასე არ ხდება. ზოგიერთი პროექტის შედეგს, რომელიც ორი წლის წინ დაიწყო, ახლა ველით. დიდი სამუშაო განახორციელა სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა შალვა ფიფიამ. მის მიერ წამოწყებული ბევრი პროექტი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

**— რომელია სასიცოცხლოდ აუცილებელი პროექტები, ანუ რა უნდა გააგრძელოს ახლადდანიშნულმა მინისტრმა?**

— ის, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქოლგის ქვეშ ხორციელდება და ის, რაც მთავრობის ერთიანი სტრატეგიის ნაწილია, ყველაფერი ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. შესაძლოა, ერთ-ერთის შეფერხებამ, მეორეზე გავლენა მოახდინოს. ბევრი რამ განვითარდა ამ პერიოდში, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობით დაწყებული, ინფრასტრუქტურული პროექტებით დამთავრებული. სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი ახალგაზრდა კაცია, როგორც ვიცი, კარგი მენეჯერული თვისებებით და საინტერესო გამოცდილებით. მისი მიდგომა ჯანსაღია – გააგრძელოს უკვე დაწყებული წარმატებული პროექტები და შექმნას ახალი პროგრამები. წარმატებას ვუსურვებ ამ საქმეში. განსაკუთრებით ერთი მიმართულებას გამოვყოფ, რომელსაც არაერთგვაროვანი მოსაზრებები მოჰყვა. „შეღავათიანი აგროსესხების“ პროგრამა, რომელზეც 2012 წლის ოქტომბერშივე დავიწყეთ მუშაობა. ამ მიმართულებას მაშინვე შალვა ფიფია ხელმძღვანელობდა, რომელიც იმ პერიოდში ჩემი მოადგილე იყო. მან დაახლოებით სამი თვე გაატარა ბანკებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობაში. ეს არის „აქილევსის ქუსლი“ ყველასთვის, რადგან როცა საბანკო რესურსი ძვირია, სოფლის მეურნეობაში არ მიდის და 2012 წლამდე, გადასესხებული პორტფელის 1%-საც კი არ შეადგენდა სოფლის მეურნეობაში ჩადებული თანხა. დღევანდელი მონაცემებით, დაახლოებით 400 000 000 ლარია ამ სექტორში გადასესხებული ბანკების მიერ. ექსპერტების ჯგუფი ამბობდა, რომ ბანკები საჭირო არ იყო, რადგან სოფლის მეურნეობა მთლიანად სახელმწიფოს უნდა დაეფინანსებინა, მაგრამ ამაზე ბევრი ვიფიქრეთ და დღევანდელი გადასახედიდან, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. კარგია, რომ ეს პროექტი კომერციულმა ბანკებმა განახორციელეს, რადგან საბანკო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე გამართულად ოპერირებადი სექტორი იყო. „შეღავათიანი აგროსესხების პროექტის“ ფარგლებში, თანხების გადასესხება რომ რომელიმე სხვა სტრუქტურას დაეწყო, მათ შორის, სახელმწიფო თუ ნახევრად სახელმწიფო სტრუქტურას, აუცილებლად გამოიწვევდა პრობლემებს სექტორში...

**— შუამავალი, ანუ მესამე რგოლი ჩაემატებოდა ბანკსა და ფერმერს შორის ურთიერთობაში?**

— არა, ალტერნატივა გაჩნდებოდა, რომელიც კომერციულ ბანკებს კონკურენციას გაუწევდა. „შეღავათიანი აგროსესხების“ პროექტის ფარგლებში, დაფინანსების საპროცენტო განაკვეთის ზედაზღვარი 15% უნდა ყოფილიყო, ხოლო თანხობრივი ზღვარი — 1 000 000 ლარით განისაზღვრა. მას შემდეგ, რაც ბანკი პროექტს დაამტკიცებს, სააგენტოში აგზავნის, სადაც 12%-ის თანადაფინანსება ხორციელდება. როგორც კი სესხის მიმღები პროცენტის გადახდას დაიწყებს, თუ 15%-ად მიიღო სესხი, რეალურად ეს სესხი მეწარმისთვის, ფერმერისთვის 3%-იანია, რადგან 12%-ს სააგენტო გადაუხდის, თუ 14%-ად მიიღო, მაშინ 2%ს გადაიხდის და თუ 13%-ად მიიღო, მხოლოდ 1%-ის გადახდა მოუწევს. როგორც ვიცი, ზოგიერთმა 12%-ად მიიღო სესხი და 7 წლის მანძილზე, მას ფაქტობრივად, უპროცენტო სესხი ჰქონდა. ეს ზუსტად ის არის, რასაც ბიძინა ივანიშვილი მოსახლეობას წინასაარჩევნოდ დაპირდა, როდესაც ხელმისაწვდომ და იაფ ფინანსურ რესურსზე საუბრობდა... ასე რომ, ფაქტია, იაფი და ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსი არსებობს! „შეღავათიან აგროსესხებთან“ დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ საბანკო და სოფლის მეურნეობის სექტორებში დასაქმებულებს შორის, ურთიერთობის კულტურა ჩამოყალიბდა, რაც აქამდე არ ყოფილა. ორი წელია, ამ ტიპის ურთიერთობა შეიქმნა, უმჯობესდება, ბევრმა ბანკმა სოფლის მეურნეობის სპეციალისტები აიყვანა საკრედიტო განყოფილებაში, რათა უკეთ შეაფასონ პროექტები და 400 000 000 ლარიანი პორტფელიდან, პრობლემური სესხები 3 000 ლარს არ სცილდება. ეს დეტალები იმიტომ ვიცი, რომ ერთი თვის წინ, საქართველოში ამერიკელი ექსპერტი იყო ჩამოსული, რომელიც ხორვატიასა და სერბეთში მუშაობს. ის ბანკირია და „შეღავათიანი აგროსესხების“ პროგრამით დაინტერესდა. შესწავლის შემდეგ განაცხადა, ასეთი ეფექტური პროგრამა ჯერ არ მინახავსო და მის განხორციელებას სერბეთსა და ხორვატიაში აპირებს.

**— მთავრობის ეკონომიკურ გუნდს როგორ შეაფასებთ?**

— გიორგი კვირიკაშვილი გამორჩეულად მაღალკვალიფიციური და უწესიერესი ადამიანია. დიდი ხანია ვიცნობ და ჩემთვის მასთან ერთად მუშაობა დიდი პატივი იყო. რაც შეეხება ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრებს, ეს ჩემი ექსპერტიზის სფეროს სცილდება, მაგრამ ვიდრე დავით ნარმანია ჩემი კოლეგა იყო, ეფექტურად ვთანამშრომლობდით, რადგან ბევრ საკითხში ვიკვეთებოდით. ენერგეტიკა საკმაოდ რთული დარგია, წამიერი მონაკვეთით რამის შეფასება რთულია. როგორც კარგი ნახატის შეფასების დროს უკან უნდა დაიხიოთ და ნახატი ისე შეაფასოთ, ასევე უნდა მოიქცეთ ენერგეტიკის შეფასების დროსაც. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდება ყველა იმ რეფორმის სიკეთე, რაც ახლა ენერგეტიკაში ხორციელდება. ზოგადად, ოპტიმისტურად ვუყურებ ეკონომიკურ გუნდს და დარწმუნებული ვარ, წარმატებას მიაღწევს.

**— როცა ბიძინა ივანიშვილმა 100 საწარმოს შექმნა დააანონსა, ყველა ფიქრობდა, რომ ეს საწარმოები ძირითადად სოფლის მეურნეობაში უნდა შექმნილიყო. თქვენი ინფორმაციით, რამდენი საწარმო შეიქმნა?**

— ერთი დეტალი დავაზუსტოთ — ივანიშვილი მოსახლეობას პირდებოდა, რომ საქართველოს ყველა რაიონში, მინიმუმ ერთი საწარმო გაიხსნებოდა. ყველა რაიონში თითო საწარმოს შექმნა, მინიმუმ 59 საწარმოს ნიშნავს. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, პირველივე თვეებში, მინიმუმ 60 საწარმოს გახსნაზე ვსაუბრობდით. საიდან წამოვიდა 100 საწარმოს იდეა, ვერ გეტყვით. ერთი თვისწინანდელი მონაცემებით, უკვე 74 ახალი საწარმოა დაფინანსებული. ვფიქრობ, ამ მიმართულებით ხელისუფლებამ დანაპირები უკვე შეასრულა. ცხადია, მეტი გვინდა, მაგრამ საწარმო კერძო ბიზნესმა უნდა შექმნას, ბიზნესს კი პირველ რიგში, დიაგნოზის დასმა სჭირდება. საწარმოს გახსნის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ძვირადღირებული ფინანსური რესურსი იყო, რომელიც უკვე გადაჭრილია, მაგრამ ამას ემატება ბაზრის პრობლემაც. ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ადრე იყო, რადგან ბაზრები გახსნილია, ადამიანები ახალ რეალობას ეგუებიან და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებაც ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ვიღაც ჯადოსნურ ჯოხს აგვიქნევს და წამში ყველაფერი კარგად იქნება! საქართველოს მიეცა შესაძლებლობა და ვალდებულება, მეტი იშრომოს, რათა უფრო ეფექტური შედეგი მივიღოთ. მომხმარებელი, რომელიც ხშირად გვავიწყდება, უკეთ უნდა იყოს დაცული, ვინაიდან ახალი სტანდარტი, რომელიც წლების მანძილზე დაინერგება, არამარტო საექსპორტო პროდუქციას უნდა შეეხოს, არამედ საქართველოს შიდაბაზარსაც. სურვილი არ მაქვს, საქართველოში სხვადასხვა ხარისხის პროდუქცია შეიქმნას, კარგი ექსპორტზე გავიდეს, შედარებით უხარისხო კი შიდაბაზარზე დარჩეს. ამიტომ ვიმუშავეთ, რომ აქაური პროდუქცია მაღალხარისხიანი იყოს.

**— „ტრაქტორების“ გახმაურებულ სკანდალზე გკითხავთ. საქართველოს ზუსტად იმ სიმძლავრის ტრაქტორები სჭირდებოდა, რომლებიც შპს „მექანიზატორმა“ ჩეხეთიდან შემოიყვანა. რა მოხდა ერთი წლის წინ, ან იმ მოხუც პროფესორებს რას ერჩოდნენ, ან თქვენ?**

— ეს კითხვა არაერთხელ დავუსვი საკუთარ თავს. ერთია, ვერსიები, რომლებიც გაქვს, მეორე სიმართლე. ყველამ უნდა შეიკავოს თავი მხოლოდ ვარაუდზე დაფუძნებული ვერსიებისგან — ნებისმიერი ვერსიის უკან ადამიანები დგანან და შესაძლებელია, უდანაშაულოს ტკივილი მიაყენო ან ჩირქი მოსცხო. ისედაც სრულიად უმიზეზოდ, ბევრ ადამიანს მოეცხო ჩირქი. კარგია, რომ ყველაფერი დასრულდა, ისინი სამსახურებს დაუბრუნდნენ...

**— სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აუქციონზე გაიტანა ის სსიპ-ები და შპს-ები, რომლებიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შეიქმნა, მათ შორის, შპს „მექანიზატორიც“. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით სსიპ-ი ან შპს არ უნდა შექმნილიყო?**

— ჯერ კიდევ 2013 წელს, ბატონი ბიძინასგან მივიღეთ დავალება, ამ საკითხისთვის გადაგვეხედა. მაგალითად, სახელმწიფოს სადღაც აქვს სათბური, რაც მისი კი არა, კერძო სექტორის საქმეა. ეს გადაწყვეტილება უფრო ადრე მივიღეთ, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სსიპ-ები და შპს-ები ისე უნდა გაეყიდა, რომ ამას შეფერხება არ მოჰყოლოდა. ზოგადად, უმჯობესია, მომსახურება, რაც ფერმერებმა ამ სსიპ-ებისა და შპს-ებისგან უნდა მიიღონ, კერძო სექტორმა გასწიოს, სახელმწიფომ კი ისეთი გარემო უნდა შექმნას, რომ ეს სერვისი ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი, ხოლო სერვისის განმახორციელებლებისთვის მომგებიანი იყოს. იმ პერიოდში, შტატებს, აშშ-ს განვითარების სააგენტოს საშუალებით ვთხოვეთ, ექპერტიზა ჩაეტარებინა და ამერიკელი ექსპერტები მოეწვიათ. ისინი ქართველ კოლეგებთან ერთად, დასახავდნენ სწორ გზას, როგორ უნდა გადაცემულიყო სახელმწიფო ქონება კერძო სექტორში. რაც შეეხება აუქციონს, სახელმწიფომ და ამ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ეს ქონება ისე უნდა გაყიდოს, რომ ამ სსიპ-ს ან შპს-ს პროფილი არ შეეცვალოს, ხოლო სერვისის მიღებისას, ფერმერი არ შეფერხდეს.

*დასასრული მე-6 გვერდზე*

## ვერსიანიუსი

### შსს-მ კომერციული მოსყიდვის ფაქტზე „საქართველოს რკინიგზის“ ბროწეულას სადგურის უფროსი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გამოავლინეს და კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ამხილეს სს „საქართველოს რკინიგზის“ ბროწეულას სადგურის უფროსი ამირან მურუსიძე.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სს „საქართველოს რკინიგზის“ ბროწეულას სადგურის უფროსმა ამირან მურუსიძემ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელებისას მოქალაქეს მისივე ინტერესებისათვის 2000 აშშ დოლარი მოსთხოვა, რის სანაცვლოდაც, თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით, სადგურის ჩიხში შემავალი ლიანდაგით სარგებლობას და საწყობამდე ვაგონის მიყვანას დაჰპირდა.

სამართალდამცველებმა ამირან მურუსიძე მოთხოვნილი თანხის ნაწილის — 1000 აშშ დოლარის აღების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიება კომერციული მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო.

*„ვერსიანიუსი“*



# შაშკინი ნოღაიდელის დაკითხვას ითხოვს

## მისცა თუ არა ჩვენება ექსპრემიერმა სააკაშვილის წინააღმდეგ და რომელ ქვეყანას შეაფარებს თავს ყოფილი პრეზიდენტი

რუსუდან შელია
557-100-768

**პროკურატურაში მოწმის სახით დაბარებული მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევის, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდების ბრალდებით საქმე აღიძრა — მმართველ გუნდში სამართლიანობის ზეიმზე საუბრობენ, საპარლამენტო უმცირესობა კი ხელისუფლებას პუტინის დავალებების შესრულებაში ადანაშაულებს. დააზარალებს თუ არა პროკურატურის გადაწყვეტილება ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს და ვინ მისცა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება, „ვერსიას“ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი ესაუბრა.**

— მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენების შემდეგ საქართველო ახალი რეალობის წინაშე დადგა. მეგონა, „ქართული ოცნების“ შეცდომების ლიმიტი ამოწურული იყო, მაგრამ შევცდი — ხელისუფლება ამ მხრივ ძალისხმევას აორმაგებს. სამწუხაროდ, პროკურატურის გადაწყვეტილება ქვეყანას ძვირად დაუჯდება და დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობაშიც პრობლემები შეექმნება. მეტიც, მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა უკრაინასთან, ამერიკასთან, შვეიცარიასთან, პოლონეთსა თუ დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობას გააფუჭებს.

— **საქართველოსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის ზღვარი მიხეილ სააკაშვილზე გადის?**

— აშშ-სა და ევროპული პოლიტიკური ელიტაც საქართველოს მთავრობას მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საქმის წარმოებისგან თავის შეკავებას ურჩევდა. შვედეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებას შეგახსენებთ — თუ ექსპრეზიდენტზე ძებნა გამოცხადდება, საქართველოსთან საუბრის ერთადერთი თემა მიხეილ სააკაშვილი იქნება და არა ასოცირების ხელშეკრულება, ნატო-ში შესვლა თუ ეკონომიკაში ინვესტიციებიო.

— **სხვა განცხადებებიც გაიხსენეთ, დასავლეთის ყურადღება პროცესის, პრინციპების და არა კონკრეტული ინდივიდების მიმართაა მიპყრობილიო.**

— მთავრობას დასავლეთში აპრობირებული პოლიტიკური თამაშის წესები არ ესმის. ამაზე საერთაშორისო ექსპერტების ჩამოყვანაც მიუთითებს, რომლის მთავარი მიზანიც დღეს სადავო არავისთვისაა. ადამიანებს, რომლებიც დღეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებენ, ჰგონიათ, რომ საქმის სამართლებრივი შეფუთვა ხელისუფლების მისამართით არსებულ შეკითხვებს მოხსნის. მერწმუნეთ, ასე არ იქნება. ახლა ქართველი ექსპერტებიც იტყვიან, საფრანგეთში სარკოზიც ხომ დაიბარეს დაკითხვაზე და დააკავეს კიდეცო, თუმცა სარკოზისა და სააკაშვილის შედარება ირელევანტურია. არც საფრანგეთისა და საქართველოს შედარებაა სწორი — იქ ციხეში არც ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანი და არც ყოფილი მერი ზის. თანაც სარკოზის დღეს პოლიტიკური ცხოვრების შესაძლებლობა აქვს. ისიც გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი ჩვენი მტერია, ქვეყნის უსაფრთხოება კი, სწორედ საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერაზე გადის.

— **ევროპის სახელმწიფოებში ყოფილი პრეზიდენტის დაკითხვაზე დაბარებისა თუ გასამართლების სხვა არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. რატომ უნდა განვიხილოთ სააკაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა საგარეო პოლიტიკისა და რუსეთიდან მომავალი საფრთხეების კონტექსტში?**

— პოლიტიკაში ყოფნა ინდულგენცია არ არის, მაგრამ, თუ ევროპისკენ მივისწრაფვით, პარტნიორი ქვეყნების რჩევები უნდა გავითვალისწინოთ. ეს ის ხალხია, ვისზეც დამოკიდებულნი ვართ. სხვათა შორის, პროკურატურის განცხადებაში ერთი საინტერესო ფაქტი იკვეთება: თუ მიხეილ სააკაშვილს, გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილსა და დავით კეზერაშვილს 7 ნოემბრის საქმეზე წაუყენეს ბრალი, რატომ არ მოხვდა ამ სიაში ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაც სწორედ მის კომპეტენციაში შედიოდა? თუ მაშინდელი თბილისის მერი გიგი უგულავა დამნაშავეა, ნოღაიდელზე რატომ არავინ არაფერს ამბობს? თუ, ხელისუფლებისთვის ის საშიშ ფიგურას არ წარმოადგენს და კარგად იქცევა? სავარაუდოდ, ეს საქმე მხოლოდ რამდენიმე ადამიანის ჩვენებაზეა აგებული.

— **იქნებ პროკურატურამ დაადგინა, რომ ნოღაიდელმა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ბრძანება ზემდგომი პირისგან მიიღო? და საერთოდ, ყოფილმა პრემიერმა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ხომ არ მისცა ჩვენება?**

— ეს ბრძანება ნოღაიდელმა წერილობით მიიღო? საერთაშორისო ექსპერტებიც სწორედ სამართლებრივი შეფუთვისთვის ჩამოიყვანეს. მოწმეებზე წინასწარ განცხადების გაკეთება არ მინდა, ინფორმაცია პროკურატურამ უნდა გაასაჯაროოს. თუმცა არა მგონია, ნოღაიდელი საქმეში მთავარი მოწმე იყოს. საერთოდ, სამართლებრივი მხარე ამ ეტაპზე მეორე ხარისხოვანია. ეს უნდა გვესმოდეს!

— **თქვენი ლოგიკა ასეთია — შესაძლოა, სააკაშვილის წინააღმდეგ მასალები არსებობდეს და სამართლებრივად საქმე გაიმართოს, მაგრამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ უნდა მიეცეს, რადგან ეს პოლიტიკური თამაშის წესებს არ შეესაბამება?**

— ამას არ ვამბობ! დასავლური სამართალწარმოება ქართულისგან განსხვავდება — თუ შესაბამისი მტკიცებულებები არ არსებობს, მხოლოდ მოწმეების ჩვენების საფუძველზე ვერ ჩაითვლება, რომ ბრალდება უტყუარია. საერთაშორისო ექსპერტები იმუშავებენ, პროკურატურამ ბოლო ორი წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომები არ გაიმეოროს, თუმცა ვიმეორებ, აქ სხვა პრობლემაა — პოლიტიკური! მესამე პრეზიდენტს ბრალი წაუყენეს, ნოღაიდელზე კი არავინ საუბრობს. ხელისუფლების მიზანი არ მესმის. ჰგონიათ, სააკაშვილი უკრაინაში ან თუნდაც პოლონეთში რომ ჩავიდეს, დააკავებენ?

— **თუ საერთაშორისო ექსპერტები შესაბამის მტკიცებულებებს წარმოადგენენ, პოლონეთში ან უკრაინაში ექსპრეზიდენტის დაკავებას რატომ გამორიცხავთ?**

— პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია... ფანტაზიების ნაკლებობას არ განვიცდი, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ მაგალითად, პოროშენკო სააკაშვილის დაკავების ბრძანებას გასცემს.

— **ანუ ექსპრეზიდენტი უკრაინას ან პოლონეთს შეაფარებს თავს?**

— მიხეილ სააკაშვილი თავისუფალი მოქალაქეა და, სადაც ჩათვლის საჭიროდ, იქ ჩავა. ფაქტია, ხელისუფლებას ერთი მთავარი მიზანი ამოძრავებს — პოლიტიკური ველი გაწმინდოს და საქართველოში სააკაშვილის ჩამოსვლა აღკვეთოს. რას მოუტანს ეს ქვეყანას? მხოლოდ საერთაშორისო პარტნიორებთან პრობლემებს, არადა მათი მხარდაჭერა ჰაერივით გვჭირდება. თორემ სააკაშვილის, უგულავას, კეზერაშვილისა და შაშკინის დაკავება-დახვრეტით ეს ქვეყანა რომ აყვავდებოდეს, ყველაფერი გასაგები იქნებოდა. მეორე წელია მერაბიშვილი ციხეშია, მაგრამ აშენდა ქვეყანა? ჩვეულებრივმა ქართველმა ამით რა მიიღო?

— **ქვეყანამ მიიღო პრეცედენტი, რომ პოლიტიკაში ყოფნა ინდულგენცია არ არის და კანონი ნებისმიერ მოქალაქესა თუ მაღალჩინოსანზე თანაბრად ვრცელდება.**

— ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად რამდენიმე მაგალითი უნდა გავიხსენოთ: დემოკრატიას თამაშის თავის წესები აქვს, რომელიც უნდა მიიღო ან დემოკრატიაზე აღარ ისაუბრო. დემოკრატიის თამაშის წესების შეცვლის მცდელობა პუტინს ჰქონდა, როცა გამოაცხადა, სუვერენული დემოკრატია გვინდაო. მოგვიანებით მიხვდა, არაფერი გამოუვიდოდა და ავტოკრატიულ მმართველობაზე გადავიდა. იგივე სცადა იანუკოვიჩმაც, რომელმაც წინამორბედი ხელისუფლების წარმომადგენლები დაიჭირა, გაასამართლა და ეგონა, პოლიტიკური ველის გასუფთავებით სასურველ შედეგს მიაღწია, მაგრამ, როგორც დაასრულა თავისი მოღვაწეობა უკრაინაში, ვნახეთ. პოლიტიკა ბიზნესი არ არის. პოლიტიკა და ბიზნესი საქართველოში გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ერთმანეთში ერევათ. პირობითად, თუ ბიზნესმენს კარაქი შემოაქვს და კონკურენტს ბაზრიდან გააქრობს, მეტ კარაქს გაყიდის. ეს კანონი პოლიტიკაში არ მუშაობს, რადგან ხალხში კარაქთან ერთად, მაწვნის, არაჟნისა და სხვა პროდუქტის მოთხოვნაა.

— **რატომ არ ითანამშრომლა ექსპრეზიდენტმა გამოძიებასთან თავიდანვე, ეს შეცდომა არ იყო?**

— პროკურატურის გადაწყვეტილებამ გვაჩვენა, რომ სააკაშვილი სწორად მოიქცა. როცა პროკურატურა ექსპრეზიდენტს დღის პირველ საათზე დაკითხვაზე იბარებს, ორ საათზე კი ბრალს უყენებს, ფარისევლობაა. მოწმის სტატუსით დაიბარეს, რათა ბრალი წაეყენებინათ? ეს ფაქტი დასავლელი პარტნიორებისთვის მორიგი კითხვისნიშანია — თუ მზად ხარ, ბრალი წაუყენო, მოწმის სტატუსით რატომ იბარებ? ასეთი პატარა კითხვებისგან მთავარი პრობლემა იქმნება.

— **ანუ სააკაშვილს შეეშინდა?**

— დაკავების შიშზე კი არა, ხელისუფლების პოლიტიკაზე ვსაუბრობ. სააკაშვილის წინააღმდეგ არსებულ საქმეში უტყუარი მტკიცებულებები არ არსებობს და კითხვებს სწორედ ეს ბადებს, თორემ სხვა შემთხვევაში, ხმას არავინ ამოიღებდა.

— **ჯერჯერობით, პროკურატურის გადაწყვეტილებას საერთაშორისო პარტნიორებში უარყოფითი რეაქცია არ მოჰყოლია და არც გამოძიების შედეგებს აყენებს ვინმე ეჭვქვეშ.**

— ვიმეორებ, საქართველოს მესამე პრეზიდენტისთვის ბრალის წაყენებით, საქართველო ახალ რეალობაში გადავიდა. ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, პოლიტიკურ ელიტას, პოზიციის ჩამოყალიბებისთვის დრო სჭირდება. ვფიქრობ, დასავლელ პარტნიორებს საკმაოდ მწვავე პოზიცია ექნებათ. ვიღაცას შეიძლება მოსწონდეს ან არ მოსწონდეს სააკაშვილი, მაგრამ, თუ ნამუსი ოდნავ მაინც გააჩნია, ვერ უარყოფს, რომ მან ქვეყნისთვის ბევრი გააკეთა. „ვარდების რევოლუციამდე“ ქვეყანა არსებობდა, მაგრამ სახელმწიფოებრივად შემდგარი არ იყო, ამიტომ მილოშევიჩთან მისი შედარება არანორმალურია.

ინტერვიუ

# ექსკლუზიური ინტერვიუ დავით კირვალიძესთან

*მე-5 გვერდიდან*

— **ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ნაწილი ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობას უკავშირდება, რომლის ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდის. მარტივად და ყველასთვის გასაგებად ამიხსენით, რას ითხოვს ევროკავშირი ქართველი ფერმერებისგან?**

— ეს ხელშეკრულება პირველ რიგში სახელმწიფოსგან ითხოვს მთელი რიგი ვალდებულებებისა და რეფორმების შესრულებას. მათი ნაწილი უკვე შესრულდა და ამის დასტური ევროკომისიამ დამატებით 6 000 000 ევროც გამოყო ჩვენი ქვეყნისთვის. ევროკავშირი საქართველოს მთავრობას, დარგში დასაქმებულ მეწარმეებსა და ფერმერებს პასუხისმგებლობას უზრდის და მეტ შესაძლებლობებს აძლევს. სოფლის მეურნეობისა და ზოგადად, სოფლის რეფორმირება უნდა განვახორციელოთ. სტატისტიკით, დღეს საქართველოს მოსახლეობის 55% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. ეს კარგი არ არის, რადგან თუ ადამიანი სოფლად ცხოვრობს, მიწაზე მუშაობის გარდა, სხვა ალტერნატივა არ აქვს. საქართველოს ეკონომიკური გუნდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სოფლად ალტერნატიული, არასასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შექმნას. სოფლად ღირსეული საცხოვრებელი პირობები უნდა შეიქმნას და ამასაც გულისხმობს ასოცირების ხელშეკრულება. მხოლოდ იმას არ უნდა ვგულისხმობდეთ, როგორ გავზარდოთ შემოსავლები სოფლის მეურნეობაში, ერთ კითხვას დაგისვამთ, რომელიც ალბათ, არავის დაუსვამს თქვენთვის: წარმოიდგინეთ, რომ სოფლის მეურნეობაში შემოსავლები გაიზარდა, სად უნდა დახარჯოს ქართველმა ფერმერმა ეს ფული? რთული კითხვაა, ხომ? ტიპური ოჯახი წარმოიდგინეთ სოფლად, რომელსაც დიდი შემოსავალი აქვს. რა უნდა გააკეთონ ამ ოჯახის ახალგაზრდებმა? სად უნდა წავიდნენ საღამოს ან სად უნდა დახარჯონ ფული? მხოლოდ შემოსავალი არაა მთავარი, არამედ ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომ სოფლად მცხოვრებმა ადამიანმა შემოსავალიც მიიღოს და ადგილზე დახარჯოს კიდეც. ქალაქების გარეთაც უნდა იყოს პატარა თეატრები, კინოდარბაზები, საკონცერტო და გასართობი ცენტრები. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა უნდა შემცირდეს, რაც ირიბად მიწის ბაზრის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. ამ დაქუცმაცებულ, 3 000 000-მდე ჰექტარი ფართობის პატარა ნაკვეთებს დღეს ორი მიზეზით ვერ ყიდიან. ერთი, რომ მყიდველის დეფიციტია და მეორე — ფაქტობრივად, სოფლად დასაქმების ალტერნატივა არ არსებობს. ამ ნაკვეთებს უმეტეს შემთხვევაში არ ყიდიან, რადგან როგორც 90-იანებში გადაარჩინა საქართველო სოფელმა, დღესაც ფიქრობენ, რომ უკიდურეს შემთხვევაში, ამ ნაკვეთებით გადარჩებიან. თუკი სოფლად მცხოვრებ ადამიანს სტაბილური სამსახური ექნება, კარგი ანაზღაურებითა და ცხოვრების უკეთესი პირობების გარანტიით, მის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს თავისუფლად მიჰყიდის თავისივე სოფლის იმ მაცხოვრებელს, ვისაც მიწის დამუშავება ნამდვილად სურს და მოწოდებით ფერმერია. აქამდე ეტაპობრივად, თანმიმდევრულად უნდა მივიდეთ, ამ შემთხვევაში დაძალება არ შეიძლება და არც გამზადებული რეცეპტი არსებობს. წინ გრძელი გზა გვაქვს, რომელიც ეტაპობრივად, თანმიმდევრული მუშაობის შედეგად უნდა გავიაროთ, მაგრამ ჯერ კარგად უნდა დავინახოთ, სად მივდივართ. ჩვენ სულ სხვა სისტემაში ვცხოვრობდით, სადაც სოფლის მეურნეობა საკმაოდ გამართული იყო. მარტივად რომ გითხრათ, ხშირად ჩვენს მაგივრად, ვიღაც სხვა ფიქრობდა, სხვა იღებდა გადაწყვეტილებას და ჩვენ მხოლოდ მისი შესრულება გვევალებოდა. ეს ცუდი სისტემა იყო — როდესაც ადამიანს ფიქრი და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობის აღება არ უწევს, თავისუფალი არ არის. თუ ადამიანი თავისუფალი არ არის, საზოგადოება არასრულყოფილია. ჩვენ თავისუფლებისა და დემოკრატიის გზაზე დავდექით. ვფიქრობ, იმ პერიოდმა დიდი დაღი დაასვა ადამიანებს, მაგრამ მთავარი პრობლემა ის იყო, რომ საკუთარი სახელმწიფოს მართვა არ გვევალებოდა. ახლა ევროპული გზა ავირჩიეთ, სადაც სახელმწიფოს მართვის სისტემა თავისუფალ ადამიანს ეფუძნება. ასოცირების ხელშეკრულება და მისი ქოლგის ქვეშ მყოფი თავისუფალი ვაჭრობა სწორედ ამას გვთავაზობს.

# „თუ სკოლას დახურავენ და სხვა სკოლებში გადაგვიყვანენ, მინიმუმ 3000 კაცი ქუჩაში გამოვალთ!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16



**1200 ხელმოწერა, 1000 ბავშვი, 2000 მშობელი და ათობით სასოწარკვეთილი მასწავლებელი — ეს 21-ე საუკუნის თბილისის კიდევ ერთი სამწუხარო რეალობაა. დოლიძის ქუჩაზე მდებარე 61-ე საჯარო სკოლა, რომელიც ქალაქის ცენტრში უკვე 70 წელია არსებობს, ინგრევა, თუმცა ნაცვლად იმისა, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს ახალ შენობაში შესვლა უხაროდეთ, ისიც ვერ გაურკვევიათ, სკოლის ნაცვლად ისევ საგანმანათლებლო დაწესებულება აშენდება თუ მაგალითად, ახალი „მორკინალი“. ამ გაურკვევლობის მიზეზი განათლების სამინისტროსთან ცუდი კომუნიკაციაა თუ სკოლის დირექტორთან დაპირისპირება, სხვა თემაა — ფაქტია, ვითარება დაძაბულია და 3 000-მდე ადამიანი ახალი სასწავლო წლის ჩაშლითა და გაფიცვით იმუქრება.**

## 61-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები აქციებით იმუქრებიან

„ვერსიას“ 61-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები და მასწავლებლები დაუკავშირდნენ და დახმარება სთხოვეს. როგორც ირკვევა, სამინისტრო მოვლენათა განვითარების ორ ვარიანტს განიხილავდა — სკოლის მთელი შემადგენლობის გადაყვანას ტექნიკური უნივერსიტეტის მეშვიდე კორპუსში, ან სკოლის დაშლასა და ბავშვების ახლომდებარე სკოლებში გადანაწილებას. აღშფოთებული მშობლები ირწმუნებიან, რომ ამ დრომდე, მათი ინფორმაციით, სკოლის დემონტაჟი არ იგეგმებოდა და საუბარი მხოლოდ შენობის გამაგრებით სამუშაოებზე იყო. მოგვიანებით, ყველას დაპირდნენ, რომ კლასებს არ დაყოფდნენ და ყველას ერთად, ე.წ. გეპეის მეშვიდე კორპუსში გაუშვებდნენ. დღეს ძალაში აღარც ეს დაპირებაა და ბავშვების ნაწილს უკვე ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე სკოლაში გადასასვლელად ამზადებენ. მშობლებმა რამდენიმე უწყება უკვე მოიარეს, თუმცა ყველა მხრიდან ერთი და იგივე, ზოგადი პასუხები ისმის და ბოლოს, მაინც განათლების სამინისტროსთან ამისამართებენ მაშინ, როცა ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს, განათლების მინისტრმა, თამარ სანიკიძემ ტელევიზიით განაცხადა, 61-ე სკოლა უკვე სხვა შენობაშია გადაყვანილიო. „ვერსია“ მოსწავლეთა მშობლებს ესაუბრა, რომელთაც ერთნაირი პოზიცია და ერთი მოთხოვნა აქვთ.

**მაია კაკაბაძე: „შევხვდით საბურთალოს რაიონის დეპუტატს, დავით ზურაბიშვილს, რომელიც ჩვენი თანდასწრებით განათლების მინისტრის მოადგილეს ესაუბრა. გვითხრეს, სტუ-ს მეშვიდე კორპუსში გადადიხართო და აღარაფრის გვეშინოდა, მაგრამ გაურკვევლობაში აღმოვჩნდით — სკოლის დირექტორმა გვითხრა, სტუ-ში რემონტი მიმდინარეობსო, ჩვენ კი გავარკვიეთ, რომ იქ სარემონტო სამუშაოები არც კი დაწყებულა. გამოდის, მეშვიდე კორპუსს ახალი სასწავლო წლისთვის სულაც არ ამზადებენ. გავიგეთ ისიც, რომ 61-ე სკოლის დემონტაჟი იგეგმება, მის ნაცვლად, შესაძლოა, ახალი კერძო სკოლა აშენდეს. სკოლის დირექტორი ამბობდა, სკოლა არ იშლებაო, უცებ განათლების მინისტრმა განაცხადა, ბავშვები ჯერ გადანაწილდებიან სხვადასხვა ახლომდებარე სკოლებში და მერე 61-ე სკოლის დემონტაჟიც დაიწყებაო... ამ დროს, სექტემბრამდე მშვიდად ვიყავით და ახალი სასწავლო წლისთვის საბუთების მიტანასაც სტუ-ში ვაპირებდით. ახლა არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ“.**

კიდევ ერთი მშობელი, **ელენე ჩაჩანიძე** ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ მოზარდი ბიჭების შეჩვეული გარემოდან უეცრად, სხვა სკოლაში გადაყვანა მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და აკადემიურ მოსწრებაზე ცუდად იმოქმედებს. პრობლემა უჩნდებათ ორ ან მეტშვილიან დედებსაც, რომელთა შვილები, შესაძლოა, სხვადასხვა სკოლებში გადაანაწილონ. როგორც კიდევ ერთი მშობელი, **მაკა ხეცურიანი** აცხადებს, ტერიტორიულადაც და უსაფრთხოების თვალსაზრისითაც, შვილის ბახტრიონზე მდებარე სკოლაში გადაყვანა მიუღებელია. **ანა მეტრეველი** მინისტრს კონკრეტულ კითხვებს უსვამს და მისგან გარანტიებს ითხოვს: **„ამ ხნის განმავლობაში, ვიცოდით, რომ სკოლა გარემონტდებოდა და მალე დავბრუნდებოდით. გვაინტერესებს კონკრეტული პასუხი, სექტემბერში ბავშვი სად მივიყვანო?! განათლების სამინისტრომ ოფიციალური განაცხადი გააკეთოს, სად უნდა დაიწყოს ჩემმა შვილმა ახალ სასწავლო წელს სწავლა?!“**

მშობლები ეჭვობენ, რომ დირექტორმა, შორენა ღუდუშაურმა სკოლის სარემონტო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა, დაახლოებით ნახევარი მილიონი მიითვისა და ამის მისაჩქმალად შენობის სასწრაფო დემონტაჟი ყველაზე მეტად სწორედ მას აწყობს. არსებობს სამხრაულის ექსპერტიზის დასკვნა, სადაც წერია, რომ სკოლა ავარიულია, თუმცა რეაბილიტაციას ექვემდებარება. განათლების სამინისტროში ამბობენ, შენობის რეაბილიტაცია-გამაგრება, ჯამში, იმაზე ძვირი ჯდება, ვიდრე ახალი სკოლის აშენება, შესაბამისად, უფრო მიზანშეწონილად სწორედ მეორე ვარიანტი მიაჩნიათ.

ეჭვს იწვევს ისიც, რომ მანამდე სკოლის ერთი ფლიგელი გადაკეტეს, სარემონტო სამუშაოების გამო, მოგვიანებით კი დირექტორმა განაცხადა, ფლიგელი ავარიულობის გამო გადაიკეტა, საძირკვლის გასამაგრებლად გამოყოფილი თანხა კი კოსმეტიკური რემონტის გაკეთებაზე დაიხარჯა, ისიც მხოლოდ ორ სართულზე, კედლების ვარდისფრად შეღებვასა და უხარისხო ფილების დაგებაში.

ამ ვნებათაღელვის ჩასახშობად, საინიციატივო ჯგუფიც შეიქმნა, რომლისთვისაც ინფრასტრუქტურის სამინისტროს ანგარიში უნდა ჩაებარებინა, მიმდინარე სამუშაოებისა და სტუ-ს მეშვიდე კორპუსის მიმდინარე რეაბილიტაციის შესახებ. ამ ჯგუფის ინფორმირება ინფრასტრუქტურის სააგენტოს უფროსის მოადგილეს, თემურ მაჩაიძეს დაევალა, საინიციატივო ჯგუფში კი პედაგოგები, მანანა დვალი, ლია ბაკურაძე, ია ბუჩუკური, დოდო ლობჟანიძე, სოფო ქსოვრელი და ირინა ზარნაძე შევიდნენ. პირველი შეხვედრა 28 ივლისს, განათლების სამინისტროში შედგა, თუმცა კონკრეტულად ვერავინ ვერაფერი გაიგო. ქიმიის პედაგოგი და საინიციატივო ჯგუფის წევრი **ია ბუჩუკური** გვიამბობს: **„თემურ მაჩაიძემ საგანგებო სიტუაციის სააგენტოს დასკვნა დაგვიდო, სადაც საუბარია იმაზე, რომ უსაფრთხოების ზომები არც სტუ-ს მეშვიდე კორპუსშია დაცული. იქ არ არსებობს სარეზერვო კიბე, ამ დროს, ჩვენს სკოლას ეს სარეზერვო ნახევარი წლის განმავლობაში გაუუქმეს. მოსაწესრიგებელია სველი წერტილები, არ არის გათბობა. ამის მიუხედავად, მაინც გვინდა მეშვიდე კორპუსის რეაბილიტაცია და იქ ერთად გადასვლა, რადგან ეს ერთადერთი გამოსავალია. იმის შიში გვაქვს, რომ თუ ბავშვები სხვადასხვა სკოლებში გადანაწილდებიან, ეს მათ გადინებას გამოიწვევს 61-ე სკოლიდან. მერე იტყვიან, ამ სკოლის არსებობა გამართლებული არ არის, რადგან მასზე დაბალი მოთხოვნააო და ეკონომიკის სამინისტრო სკოლას აუქციონის წესით გაყიდის. ეს საკმაოდ ცნობილი სცენარია, რომლითაც თბილისში არაერთი სკოლა გაყიდულა“.**

გაჟღერდა ისეთი მოთხოვნებიც, როგორიცაა სკოლაში აუდიტის სამსახურის შესვლა და მოქმედი დირექტორის გათავისუფლება. „ვერსია“ 61-ე საჯარო სკოლის დირექტორს, **შორენა ღუდუშაურსაც** ესაუბრა, რომელიც სრულიად სხვა რეალობის შესახებ გვიამბობს: **„61-ე სკოლა ნამდვილად ინგრევა და მის ნაცვლად ახალი საჯარო სკოლა შენდება, ხოლო მანამდე, ყველანი ერთად, ტექნიკური უნივერსიტეტის მეშვიდე კორპუსში გადავდივართ, სადაც მაქსიმუმ, 2 წელს ვიქნებით. ტექნიკურ უნივერსიტეტთან ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია, 2 წლის ვადით. სტუ-ს კორპუსის ახალი სასწავლო წლისთვის მზადება დროში ცოტა გაიწელა და ალბათ, აქედან წამოვიდა ეს ვერსია, რომ ბავშვები სხვადასხვა სკოლებში გადანაწილდებიან. ჩვენი პოზიცია ასეთია — ვიდრე „გეპეის“ შენობა არ გარემონტდება, 61-ე სკოლის შენობას არ დავცლით. მთელი სკოლა, იგივე შემადგენლობით, „გეპეის“ მეშვიდე კორპუსში გადადის. არანაირი დაპირისპირება სკოლაში არ არის. პირიქით, მშობლები ამბობენ, ჩვენი დირექტორი და მასწავლებლები იგივე შემადგენლობით უნდა შევინარჩუნოთო. გარდა ამისა, სკოლისთვის გამოიყო 150 000 ლარი და არანაირი ნახევარი მილიონი არ დახარჯულა. მივმართე ექსპერტიზის ბიუროს, რომელმაც დადო დასკვნა, რომ სკოლას გამაგრებითი სამუშაოები სჭირდება. შესაბამისად, რა თქმა უნდა, აჯობებს, თბილისის ცენტრში ახალი თანამედროვე სკოლა აშენდეს. მაქვს მყარი გარანტიები განათლების სამინისტროდან, რომ ცოტა ხანში, დოლიძის ქუჩაზე თანამედროვე საჯარო სკოლა აშენდება!“**

„ვერსიამ“ ამ კითხვებზე პასუხი განათლების სამინისტროდანაც მოითხოვა. მინისტრის ოფიციალური პოზიცია კი ასეთი აღმოჩნდა: **„61-ე სკოლის შენობა ავარიული და საფრთხისშემცველია როგორც ბავშვების, ისე პედაგოგებისთვის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ახლა სკოლა მდებარეობს, აშენდება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საჯარო სკოლა. ამჟამად, მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები“.**

თუმცა „ვერსიამ“ კულუარული ინფორმაციით გაარკვია, რომ განათლების სამინისტროში სტუ-ს კორპუსის რეაბილიტაცია არ განიხილება და ბავშვების სხვადასხვა სკოლებში გადანაწილებაზე უკვე აქტიურად ფიქრობენ. ამ თემაზე კი სამინისტრო ცოტა ხანში საჯარო განცხადებას გააკეთებს.

იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო 1000-მდე მოსწავლისა და მათი მშობლების თხოვნას არ გაითვალისწინებს და ბავშვებს სხვადასხვა სკოლებში, პედაგოგების გარეშე მაინც გადაანაწილებენ, მშობლები უკიდურესი ზომების მიღებით იმუქრებიან. როგორც ამბობენ, მთელი სკოლა, დაახლოებით 3 000-მდე ადამიანი ამის წინააღმდეგ გამოვა და საპროტესტო აქციებს დაიწყებს, პროტესტის ნიშნად მასწავლებლები გაფიცვას მოაწყობენ, მოსწავლეები კი სხვა სკოლაში სასწავლო წლის განახლებაზე უარს განაცხადებენ და სწავლის პროცესს ჩაშლიან. ამ პროტესტის შეჩერება ერთადერთი თხოვნის დაკმაყოფილებას შეუძლია — 61-ე საჯარო სკოლამ არსებობა არ უნდა შეწყვიტოს, სკოლის ამჟამინდელმა შემადგენლობამ კი თავი ერთ შენობაში რამდენიმე თვით შეაფაროს!

## ვერსიანიუსი

### „სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს მერია დაეხმარება“




თბილისის არჩეული მერი დავით ნარმანია მეუღლესთან ერთად ბერი ანდრიას ფონდის სარეაბილიტაციო სახლის პრეზენტაციას დაესწრო. დავით ნარმანიას პრესსამსახურის ინფორმაციით, პრეზენტაციას ასევე ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, პარლამენტის წევრები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები.

სარეაბილიტაციო სახლი სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის შეიქმნა და იქ სხვადასხვა პერიოდულობით 27 ბავშვი გადის რეაბილიტაციას.

როგორც დავით ნარმანიამ სახლის პრეზენტაციაზე განაცხადა, თბილისის მერია სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვებს მხარდაჭერას გაუწევს: **„მე აქამდეც ძალიან ხშირად სხვადასხვა ფორმით ვმონაწილეობდი ამ ბავშვების მხარდამჭერ აქციებში, თუმცა ახლა ვიღებ ვალდებულებას, მათზე თბილისის მერიამ იზრუნოს“.**

პრეზენტაციაზე თბილისის მერი და აშშ-ს ელჩი სარეაბილიტაციო სახლის საპატიო წევრებად აირჩიეს.

*„ინტერპრესნიუსი“*

### ბაკურციხეში ხანძრის შედეგად ოთხსულიანი ოჯახი ღია ცისქვეშ დარჩა

სოფელ ბაკურციხეში გაჩენილი ხანძრის შედეგად, ჯანიაშვილების ოთხსულიანი ოჯახი ღია ცისქვეშ დარჩა. მთლიანად დაიწვა ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა. ხანძრის ლოკალიზებას გურჯაანის სახანძრო-სამაშველო სამსახურის სრული შემადგენლობა რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა.

თვითმხილველების თქმით, ხანძარი სავარაუდოდ, მოძველებულმა ელექტროგაყვანილობამ გამოიწვია და მთლიანად შენობაზე გავრცელდა.

დაზარალებული ოჯახისთვის ალტერნატიული ფართის გამოყოფაზე გურჯაანის გამგეობაში იმსჯელებენ.

*„ინტერპრესნიუსი“*



# „პროკურორმა მითხრა, ხალხს ხოცავდნენ, ბიზნესებს ართმევდნენ და შენ ერთ მანქანას მისტირიო?“

## „თაღლითების“ მსხვერპლი მალხაზ სიხარულიძე დამნაშავეების დასჯას ითხოვს

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**სოხუმელი მალხაზ სიხარულიძე, როგორც თავად ამბობს, თაღლითების მსხვერპლი სააკაშვილის რეჟიმის დროის ორჯერ გახდა. პირველად მაშინ, როცა 2011 წელს, საკუთარი მანქანა გააქირავა და ვეღარ დაიბრუნა; მეორედ 2012 წელს, როცა მისი დის ადელიკო სიხარულიძის ბინა, მეორე დისშვილმა უკანონოდ მიისაკუთრა. ორივე შემთხვევაში „ვერსიის“ რესპონდენტმა ბრძოლის სამართლებრივი გზა აირჩია და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს მიმართა. შედეგი, დღემდე არ დადგა — ვერც ბინა დაიბრუნა, ვერც მანქანა. მეტიც, ბინის საქმეზე დაწყებული გამოძიება უსასრულოდ გაიწელა, ხოლო მანქანის მითვისების ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა, მანქანის ძებნაც კი არ გამოცხადებულა. სამტომეულის „მარადიული წიგნის“ ავტორი, თავის დროზე „აფხაზწიგნის“ გენერალური დირექტორი მალხაზ სიხარულიძე „ვერსიას“ თავად დაუკავშირდა, თავისი გაუხმაურებელი, გამოუძიებელი, დროში გაწელილი „საქმეების“ შესახებ უამბო და ივარაუდა — პროკურატურაში იმიტომ მექცევიან ასე, რომ ბევრი ძველი კადრია დარჩენილი და ხელისუფლების წინააღმდეგ საბოტაჟს აწყობენო.**

2011 წლიდან მოყოლებული მალხაზ სიხარულიძე პროკურატურის ხშირი სტუმარია. იმდენად ხშირი, რომ უწყებაში მეტსახელიც შეარქვეს — „მოუსვენარი“. სიხარულიძის ამგვარად „მონათვლა“ არ გაგიკვირდებათ, როცა შეიტყობთ, რომ პროკურატურაში ორივე საქმეზე, დაახლოებით 400-მდე წერილი აქვს შეტანილ-შეგზავნილი. სხვადასხვა ფერის კალმით წერდა, რომ რეაგირება მოჰყოლოდა მის განცხადებებს, მაგრამ შედეგს რომ ვერ მიაღწია, 2014 წლის ივნისში, მიმოწერის მთელი დასტა შეკრიბა და პროკურატურაში შეაგზავნა ყველა ფურცელსა და კონვერტზე მინაწერით: „ამ მაკულატურას თქვენ ოფისს ვუბრუნებ. რატომ და რაში იღებთ ხელფასს პროკურორები? რატომ არ გახსენით ეს სისხლის სამართლის საქმეები? რატომ აფარებთ ხელს კრიმინალებს?“.

მალხაზ სიხარულიძე 4-ჯერ პარლამენტშიც ჩავიდა, შეხვდა ეკა ბესელიას კომიტეტის წარმომადგენლებს, ხმალაძე-შავგულიძეს, პრემიერ მინისტრის კანცელარიაშიც იყო არაერთგზის და პრეზიდენტის სასახლესაც არაერთხელ ესტუმრა, უშედეგოდ.

### სამოხელეო დანაშაული, თაღლითი დისშვილი და დროში გაწელილი საქმე

მალხაზ სიხარულიძის და, ადელიკო (ადელაიდა) სიხარულიძე, მასთან ერთად, სოხუმში, ერთ მისამართზე (ლაკობას 5, ბინა 2) 40 წელი ცხოვრობდა. თბილისში იძულებით გადმოსვლის შემდეგ, ადელიკო სიხარულიძე ლტოლვილების კომპაქტურ დასახლებაში მოათავსა დევნილთა სამინისტრომ (ნაძალადევის რაიონი, საყვირის ქუჩა, სახლი 2, ბინა 21, მეორე სართული). ბინაში რეგისტრირებული იყო და ამ ფართზე ცხოვრობდა მხოლოდ ადელიკო სიხარულიძე, ხოლო მალხაზ სიხარულიძეს თავისი ფართი აქვს დევნილების სხვა კომპაქტურ დასახლებაში. ადელიკო სიხარულიძეს თავის სახელზე მოდიოდა კომუნალური გადასახადები. გულნარა ქარჩავას ამ ფართზე არანაირი უფლება არ ჰქონდა. ეს ეკონომიკის სამინისტროს წერილიდანაც ირკვევა: გ. ქარჩავა ქალაქ თბილისში ფლობს ორ საკუთარ, კეთილმოწყობილ ბინას თამარაშვილზე და ლესელიძეზე. ის არ სარგებლობდა ადელიკო სიხარულიძის ბინით და იქ არც რეგისტრირებული იყო. ასევე არსებობს დევნილთა სამინისტროს დოკუმენტი, სადაც წერია: გულნარა ქარჩავამ, სიხარულიძის არყოფნის დროს ხელში ჩაიგდო ბინის გასაღები, ისარგებლა მისი პირადობის დოკუმენტით, ლტოლვილის მოწმობით და ადელიკო სიხარულიძის მაგივრად მოაწერა ხელი პრივატიზაციის დოკუმენტზე.

ნაძალადევის რაიონის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, 362 მუხლის I ნაწილით (დოკუმენტის გაყალბება).

„სოხუმში, ჩვენ და ქარჩავას თითქმის არ გვქონდა ურთიერთობა, წელიწადში ერთხელ თუ გვესტუმრებოდა“, — ამბობს მალხაზ სიხარულიძე. გულნარა ქარჩავა სოხუმის უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის ექსდეკანია. აქვს 2 დიდი ბინა, დაბადებულია სოფელ ჩხოროწყუში. მალხაზ სიხარულიძის მტკიცებით, მან დაქალისგან, დევნილთა სამინისტროს თანამშრომელ მარინა ფოჩხუასთან გაიგო, რომ მალე დეიდის ბინის პრივატიზებას მოახდენდნენ. მაშინვე მოუხშირა მიმოსვლას ადელიკო სიხარულიძესთან, ისარგებლა მისი ხანშიშესულობით, მიამიტობით და ნათესაური გრძნობებით, წინასწარი ბოროტი განზრახვით და მიზნით, დეიდის ბინა ხელში ჩაეგდო. მიუხედავად, ამისა, ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური განყოფილების ინფორმაციით, ირკვევა, რომ მას მეურვეობის უფლება არ მიუღია და არც სიხარულიძის იურიდიული მემკვიდრეა. იურიდიული მემკვიდრე მალხაზ სიხარულიძე გახლავთ, რადგან ადელიკო სიხარულიძე გაუთხოვარი, უქმარშვილო გახლდათ.

სიხარულიძის ნდობის მოსაპოვებლად, ქარჩავა დროდადრო ყიდულობდა მისთვის ლობიანს, იაფფასიან წამალს... **„არ მეგონა, რომ მას მარტო ანგარება ამოძრავებდა. ბოლო დროს, ჩემი და ადელიკო, ჩემთან ცხოვრობდა. მისი ბინა დაკეტილი იყო. ვუვლიდი. ერთხელ სამტრედია-ქუთაისში მომიწია წასვლა. ქარჩავამ მომენტით ისარგებლა და უპატრონოთა სახლში მოტყუებით გადაიყვანა. არავის შეგვატყობინა, თორემ ამის უფლებას ვინ მისცემდა! თვითონ კი უკანონოდ ჩაიგდო ხელში ბინა და გააქირავა. რამდენიმე თვე იყო ჩემს სახლში ადელიკო, მაგრამ მისი დაკეტილი ბინის გაქირავება არ მიკადრია. საკუთარ დეიდას რომ უპატრონოთა სახლში გადაასახლებ, რა გქვია? თუ მოვლა გინდა, წაიყვანე და მოუარე. ადელიკო სიხარულიძე აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგია, განათლებული... გიჟი იყო, 30 კვ. მეტრ ევრორემონტიანი ბინიდან უპატრონოთა სახლში გადასულიყო, სადაც ოთახი 6 კვ. მეტრია, გაზიც არაა და საპირფარეშოც საერთოა? ის, რომ გულნარა ქარჩავამ დაარღვია ადელიკო სიხარულიძის კონსტიტუციური უფლებები, ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო და ფაქტობრივად, მოუსწრაფა სიცოცხლე, ომბუდსმენის ოფისიდან მოსული დოკუმენტებითაც ჩანს“,** — აცხადებს მალხაზ სიხარულიძე. მისი მტკიცებით, საქმეში აშკარად იკვეთება სამოხელეო დანაშაული — სსსკ 332 და 333 მუხლები, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სამოხელეო სიყალბე. პრივატიზაციის (2012 წლის 14 სექტემბერი) სარეგისტრაციო ნუსხაში, საყვირის ქუჩა 2-ში, რეგისტრირებჯლი იყო და ამ ფართზე ცხოვრობდა მხოლოდ ადელიკო სიხარულიძე. გულნარა ქარჩავამ და პრივატიზაციის კომისიის წევრებმა კი, სიხარულიძის თქმით, ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული. საქმეში ჩაერთო ეკონომიკის სამინისტროს ჩინოვნიკი რატი ამაშმაძე, რომლის სახელზე არასამთავრობო ორგანიზაციამ „ჰუმან რაით ვოშმა“ ბევრჯერ დაწერა განცხადება, სადაც მიუთითა, რომ ქარჩავამ ჩაიდინა კანონდარღვევა.

**მალხაზ სიხარულიძე: „თბილისში ჩამოსულმა, გავიგე, რომ ქარჩავას ჩემი და უპატრონოთა სახლში გადაუსახლებია, სადაც ჩემი დაიკო მიუჩვეველ პირობებში, უცხო სახლში დაავადდა და ჩემდა საუბედუროდ გარდაიცვალა. მე დღესაც შავები მაცვია და ხან დედაეკლესიაში, ხან მის საფლავზე ვარ. უპატრონოთა სახლში სისტემატურად ვაკითხავდი. როცა უპატრონოთა სახლის უფროს ლ. ჩაფლიანს ვუთხარი ადელიკას ჩემთან წავიყვან-მეთქი, მიპასუხა ამის უფლება არ გაქვს, ვინც ჩააბარა იმან უნდა წაიყვანოს, პოლიციას გამოვიძახებო. გაბრაზებული, წავედი იუსტიციის სახლში და იქ ოპერატორმა მომცა დოკუმენტი, რომ თაღლითმა ქარჩავამ ბინა #21-ის გარდა, იმავე დროს ხელთ იგდო და მიიტაცა სახელმწიფო ბალანსზე მყოფი გვერდითი ბინა #22, ესეც კანონდარმღვევი პრივატიზაციის კომისიის „დახმარებით“. ამ ბინებს ქრთამის გარეშე ვინ მისცემდა? პრივატიზაციის კომისიის 8 წევრიდან გამომძიებელმა დაკითხა მხოლოდ ორი — სამართალი შერჩევითია? დანარჩენმა 6-მა რა „დააშავა“? რატომ აფარებს პროკურატურა ხელს კრიმინალებს? პირველი უნიათო გამომძიეელი ს. ჟღენტი მეუბნებოდა — კოჰაბიტაციის რეჟიმში ვართო და არავინ დაკითხეს ჩემ გარდა. მეორე წელს მითხრა, დროში არ ვიწვიო. არადა, მარტივად გამოიძიებდნენ საქმეს, რომელშიც ჩემი დის განცხადებაც კი დევს — უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქარჩავამ მისი ბინა კანონდარღვევით, თაღლითობით და მაქინაციებით ჩაიგდო ხელში. ხაზს უსვამს იმასაც, რომ სწორედ ქარჩავას ინიციატივით მოხვდა უპატრონოთა სახლში“.**

სიხარულიძის საქმით ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი თამარ კორძაიაც დაინტერესდა. ორი წერილი დაწერა მთავარი პროკურორის სახელზე, მაგრამ სიმართლე და დადებითი შედეგი არაა. საინტერესოა, როდემდე არ გაიხსნება საქმე? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად „ვერსია“ საქმის ზედამხედველ პროკურორს, დავით კვინიკაძეს დაუკავშირდა. მისი თქმით, გამოძიება აქტიურ ფაზაშია, რამდენიმე გამოკვეთილი მოწმის დაკითხვა მიმდინარეობს. რაც შეეხება მუხლის გადაკვალიფიცირებას, ამაზე საუბარი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება დაიწყოს, რაც გულნარა ქარჩავას ბრალეულობა დამტკიცდება.

მალხაზ სიხარულიძე ითხოვს სიმართლის გარკვევას, მუხლის კვალიფიკაციის შეცვლას და მისი მორალურად და მატერიალურად დაზარალებულად ჩათვლას.

„უსულგულო ქარჩავამ ჩემ საყვარელ დას მოხუცებულობა ამ ბინის გამო გაუმწარა. არ დაინდო დეიდა, რომელიც სწორედ მისი ოჯახის გულისთვის არ გათხოვდა და მთელი ცხოვრება ამათ შესწირა და უვლიდა. სამაგიეროდ, სიბერისას სული ამოხადეს უპატრონოთა სახლში. ქარჩავების ოჯახს მოუწევს, მძიმე დანაშაულისთვის ბოდიში მოუხადოს სიხარულიძეების ოჯახს“, — აცხადებს სიხარულიძე.



### მანქანის მითვისების თაღლითური სქემა

3 წლის წინ, 2011 წლის 7 ივნისს, მალხაზ სიხარულიძემ კუთვნილი ავტომანქანა „ვოლგა“ გაზ 24-ის გაქირავება გადაწყვიტა. კობა ზირაქაშვილთან ოფიციალურად გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ზირაქაშვილს 8 თვის განმავლობაში სიხარულიძისთვის უნდა ეხადა ყოველთვიურად 250 ლარი. 8 თვის შემდეგ კი მანქანა გამართულ მდგომარეობაში უნდა დაებრუნებინა. ხელშეკრულებაში ვკითხულობთ, რომ ქირის არგადახდის შემთხვევაში, სიხარულიძეს აქვს უფლება, მანქანა დაუყოვნებლივ დაიბრუნოს. სიხარულიძემ არსებული წესითაც არ იმოქმედა და წინასწარ 1 თვის ქირა — 250 ლარი კობა ზირაქაშვილს არ გამოართვა, მეტიც მანქანის გატანის წინ 200-ლარიანი ახალთახალი აკუმულატორი იყიდა და ისე გადაულოცა კლიენტს. მანქანა ასევე გაწყობილი იყო უცხოური გაზის აპარატურით. როგორც კი მიხვდა სიხარულიძე, რომ ზირაქაშვილმა „გადააგდო“, განცხადება დაწერა საბურთალოს პროკურატურაში და საბურთალოს პოლიციის მე-7 განყოფილებაში მოითხოვა, მანქანაზე ძებნა გამოეცხადებინათ. არც საქმე აღძრეს და არც მანქანა მოძებნეს. მეტიც, პირველმა გამომძიებელმა ასეთი ვერსიაც თქვა, მანქანა საბოლოო გამოსყიდვით გააქირავაო. ასეთი რამ ხელშეკრულებაში არსად წერია.

**მალხაზ სიხარულიძე: „მანქანის ქირა 6 თვის განმავლობაშიც არ გადაუხდია ზირაქაშვილს. მობილურს მითიშავდა, მერე ნომერი გამოცვალა, ფიჭურ კავშირზე არ გამოდიოდა, მემალებოდა. ნახევარი წლის შემდეგ მომცა 2 თვის ქირა, 500 ლარი. მანქანა რომ ვნახე, გული დამწყდა — საქარე მინა დამსხვრეული იყო და ნაავარიევი. ვუთხარი, გაარემონტე და მომიყვანე-მეთქი. დარჩენილი ქირის მოცემაც მოვთხოვე. არ მომისმინა. შეხტა მანქანაში და წავიდა. მერე გავიგე, რომ ყოფილი მაღალჩინოსანი პოლიციელი ყოფილა, რომელიც მოგვიანებით ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებაზე დაიჭირეს. ალბათ პოლიციელობა გახდა საფუძველი, რომ ფაქტზე სათანადო რეაგირება არ მოხდა და საქმე არ აღიძრა. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, მანქანა გაიტაცეს თუ თაღლითური გზით მიითვისეს? დაზარალებული ვარ. ფაქტია 3 წელია კუთვნილი ავტომანქანა ვერ დავიბრუნე. საქმის გამოძიებას სულ ერთი დღე უნდა: დაკითხე ზირაქაშვილი. აქ აშკარადაა გამოკვეთილია თაღლითობა, სხვისი ნივთის მითვისება და გაფუჭება-მოსპობა. ერთ-ერთმა პროკურორმა აგდებულად მითხრა, ხალხი მოტ..., დახოცეს, 50 მილიონის ბიზნესები წაართვეს და შენ ერთ მანქანასა და ერთ ბინას მისტირიო. ეს დაცინვაა, მოსახლეობის აბუჩად აგდება, სხვა არაფერი. ქარჩავა სიხარულიძეების ფულს იჯიბავს, გამდიდრდა. ზირაქაშვილს დღემდე უკანონო სარგებლობაში აქვს ჩემი ნივთი. 3 წლის მანძილზე დაგროვდა 10 ათასზე ლარზე მეტი ვალი. ეს მანქანა სოციალურად დაუცველი ადამიანისთვის მარჩენალივით იყო. იმედია, ახალი გამომძიებლები საქმეს არ გააჭიანურებენ, შედეგს მივაღწევ და აღარ მექნება განცდა, რომ ამ ქვეყანაში საკუთრების უფლება დაცული არაა“.**

**P.S.** მასალა უკვე მზად იყო, როცა მალხაზ სიხარულიძეს პროკურატურიდან ოფიციალური წერილით აცნობეს, რომ მანქანის საქმეზე გამოძიება დაიწყო: „2014 წლის 17 ივლისს საქართველოს შსს ქ თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს VII განყოფილებაში დაიწყო გამოძიება, მალხაზ სიხარულიძის მიმართ განხორციელებული თაღლითობის ფაქტზე“.

# „საქართველოს ბანკი“ თბილისის 9 საკვანძო ქუჩის პანდუსებით აღჭურვას დააფინანსებს

ვაჟა-ფშაველას გამზირის შემდეგ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის საჭირო პანდუსები მალე თბილისის კიდევ 9 ქუჩაზე შეგხვდებათ — „საქართველოს ბანკი“, „სიცოცხლის ხე“ და „სოცკოდექსი“ 15 ნოემბრამდე ჭავჭავაძის, მელიქიშვილის, პეკინისა და ყაზბეგის გამზირების, ასევე კოსტავას, შარტავას, ჯიქიას, ქავთარაძისა და ჩოლოყაშვილის ქუჩების ტროტუარების სრულად ადაპტირებას მოახდენენ. თბილისის რამდენიმე საკვანძო გამზირისა და ქუჩის ადაპტაციის პროექტი უკვე დაწყებულია და მისი განხორციელებისთვის, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის ირაკლი გილაურის განმარტებით, ბანკმა დაახლოებით 200 000 ლარი გამოყო.

**ირაკლი გილაური: „პირველი ასეთი პროექტი m²-მა, „სიცოცხლის ხემ“ და „სოცკოდექსმა“ განახორციელა ვაჟა-ფშაველაზე, სადაც 190-მდე პანდუსი გაკეთდა. ახლა უკვე შშმ პირებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად გადაადგილდნენ, რაც უმნიშვნელოვანესია. მადლობა „სოცკოდექსის“ წარმომადგენლებს ამ ინიციატივისთვის. „საქართველოს ბანკი“ გარდა იმისა, რომ მილიონზე მეტი ლარი გამოვყავით შშმ პირების ინტეგრაციისთვის, კონკრეტულად ამ პროექტისთვის კი, დამატებით, 200 000-ლარიანი დაფინანსება გვაქვს გათვალისწინებული. იმედია, მალე თბილისის ყველა ქუჩის ადაპტაციას შევძლებთ. ზოგადად, შშმ პირებისთვის გარემოში ადაპტაციისთვის ხელშეწყობა „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამის დამამტკიცებელია ის ფაქტიც, რომ რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ და დღემდე განვაგრძობთ სერვისცენტრების ადაპტაციას შშმ პირებისთვის. „საქართველოს ბანკის“ მიზანი, ყველა მომხმარებლისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გარემოს შექმნის ხელშეწყობაა“.**

პროექტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს ფონდი „სიცოცხლის ხე“. მისი წარმომადგენლის, თორნიკე გურულის განმარტებით, პროექტი მიმდინარე წლის 15 ნოემბერს დასრულდება და ჯამში, 650 პანდუსი დამონტაჟდება. პანდუსები მოეწყობა ევროსტანდარტის დაცვით, რომლის მიხედვითაც დახრილობის კუთხემ 5-დან 8 გრადუსამდე უნდა შეადგინოს. თბილისის გამზირებისა და ქუჩების პანდუსებით აღჭურვის

**„სიცოცხლის ხე“ და „სოცკოდექსი“ ჭავჭავაძის, მელიქიშვილის, პეკინისა და ყაზბეგის გამზირების, ასევე კოსტავას, შარტავას, ჯიქიას, ქავთარაძისა და ჩოლოყაშვილის ქუჩების ტროტუარების სრულად ადაპტირებას მოახდენენ**




პროცესში ეტლით მოსარგებლე მოქალაქეებიც ჩაერთვებიან. **თორნიკე გურული: „სიცოცხლის ხე“ დაახლოებით 7 თვეა ზრუნავს შშმ ადამიანებზე. ინტენსიურად ვაცხადებთ საგრანტო კონკურსებს, რომლის ფარგლებშიც, სხვადასხვა პროექტს ვახორციელებთ. დაახლოებით 24 პროექტი უკვე დაწყებულია. ეს პროექტი კი „საქართველოს ბანკის“ ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. ჩვენი ფონდი ღიაა ყველა ორგანიზაციისთვის, რომელსაც უნდა უკეთესობისკენ შეცვალოს შშმ პირების მდგომარეობა, გააადვილოს მათ საზოგადოებაში ინტეგრირება. მოვუწოდებ ბიზნესმენებს, ვისაც გაუჩნდება სურვილი, შემოუერთდეს „სიცოცხლის ხეს“ და სხვა ქუჩების ადაპტირებაში მოგვეხმაროს. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ შევხვდით ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც „სოცკოდექსს“ წარმოადგენენ — ამ პროექტის ინიციატორი სწორედ ეს ორგანიზაციაა. დღეს, 500 მოხალისე ერთად აკეთებს საქმეს, რასაც წლების განმავლობაში ითხოვდნენ შშმ პირები“.**

ჯგუფ „სოცკოდექსის“ წარმომადგენლის, **ტატო მიროტაძის** განმარტებით, ორგანიზაცია 2012 წლიდან მოქმედებს და ახდენს სოციალური პრობლემების იდენტიფიცირებას: **„ამის შემდეგ, შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, პრობლემები ეტაპობრივად გადავჭრათ. პროექტის „შეზღუდვების გარეშე“ ფარგლებში ამჯერად უკვე 9 ქუჩას აღვჭურვავთ პანდუსებით. მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმეში ბევრი მოხალისეა ჩართული. მუშაობის პროცესში, საზოგადოების მხრიდანაც ვგრძნობთ მხარდაჭერას — ვაჟა-ფშაველაზე პანდუსების დამონტაჟებისას, ადგილობრივები ჩამოდიოდნენ და დახმარებას გვთავაზობდნენ, ზოგმა სადილიც კი მოგვაწოდა... ვიმედოვნებ, მოვახერხებთ და თბილისის სხვა ქუჩებშიც გახდება შესაძლებელი გადაადგილება შეზღუდვების გარეშე“.**

თუმცა, როგორც ირკვევა, მხარდაჭერის პარალელურად, მოქალაქეების ნაწილი, პრობლემებსაც უქმნის თავად პროექტსაც და შშმ პირებსაც — მძღოლები პანდუსებზე ავტომანქანებს ხშირად აჩერებენ და შშმ პირებს ეტლით გადაადგილების საშუალებას უზღუდავენ ან პანდუსებს ბარდიურზე ასასვლელად იყენებენ, რამაც შეიძლება პანდუსები დააზიანოს. ამ ფონზე, გასაკვირი არ იყო, პროექტის პრეზენტაციაზე, „სიცოცხლის ხის“ წარმომადგენელმა თორნიკე გურულმა, მოსახლეობას პირდაპირ მოუწოდა, არ შექმნან მსგავსი პრობლემები, არ გამოიყენონ პანდუსები მანქანის გასაჩერებლად. რადგან შშმ პირებმა თავისუფლად შეძლონ ქალაქის ქუჩებში გადაადგილება.

***ნინო ლურსმანაშვილი***

## პატიმრის დღიური

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

# ციმბირის ციხის კარცერში სასწაულით გადარჩენილი პატიმრის ისტორია

**ერთი დანაშაულისთვის ორჯერ მოხდილი სასჯელი, სამ თვეში გათხრილი გვირაბი და ცხენი, რომელსაც ზონაზე ნარკოტიკი შეჰქონდა**



ყველა სიკეთესთან ერთად, ნაციონალურმა ხელისუფლებამ ერთიც შემოიღო — კრიმინალები, რომლებიც საქართველოში ჩადენილი დანაშაულისთვის პოსტსაბჭოთა სივრცეში იხდიდნენ სასჯელს, გათავისუფლების შემდეგ უკვე საქართველოში დააკავა და ერთხელ მოხდილი სასჯელი მეორედ მოახდევინა. არადა, ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობა ამის საფუძველს არ აძლევდა — თუ პირს საქართველოში დაუსწრებლად ჰქონდა შეფარდებული სასჯელი და რუსეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში ან სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში დაიჭერდნენ, ქართულ მხარეს შეეძლო ეთქვა, სასჯელი მანდ მოიხადოსო. გათავისუფლების შემდეგ კი კრიმინალებს დეპორტს უკეთებდნენ, საქართველოში ადგილობრივი სამართალდამცავები ხვდებოდნენ და იგივე დანაშაულის გამო, იგივე სასჯელს უკვე საქართველოში ახდევინებდნენ...

რუსთავის 17 საპყრობილეში ერთი უცნაური პატიმარი იჯდა. იმედა ბ-ს ყველა პატივისცემით ეპყრობოდა, მაგრამ არავის ეკონტაქტებოდა. დილით, ზონის გაღების შემდეგ, მშვიდად დადიოდა ეზოში, შემდეგ კი მთელი დღე იწვა და კითხულობდა. უფრო სწორად, კითხვას ცდილობდა, რადგან სათვალე ეკეთა და აშკარა იყო, თვალთ იმაზე მეტად აკლდა, ვიდრე სათვალე იყო გათვლილი. ერთ დღეს მასთან პატიმარი 0578 მივიდა და მისალმების შემდეგ ჰკითხა — სათვალეს რატომ არ იცვლი?

— კეთროვანივით ვარ, ჩემსას არაფერს ითვალისწინებენ, თორემ სათვალე ორი წლის წინ უნდა შემეცვალა. პრინციპში, არ არის ეს შენი პრობლემა და საერთოდ, არ არის პრობლემა, — გაუღიმა პატიმარს და გაშორდა.

მეორე დღეს იმედას სამედიცინო ნაწილში დაუძახეს. თვალებზე შეამოწმეს და შესაფერისი სათვალე მისცეს. ნაშუადღევს იმედამ 67 საკნის კარი შეაღო, მშვიდად მიმოიხედა და 0578-ის ნარისკენ გაემართა. ნარზე ჩამოჯდა, პატიმარს დაჟინებით დააცქერდა, შემდეგ კი ჰკითხა — სანაცვლოდ რა გინდა?

— არაფერი, შენი კარგად ყოფნა, — გაუღიმა 0578-მა.

— ასე არ ხდება, რა გინდა-მეთქი?! — გაჯიუტდა იმედა.

— შეგიძლია, შენი რუსული ისტორია მომიყვე? რა სიტუაცია იყო, თეთრ დათვებში რომ იხდიდი სასჯელს? რა ხდებოდა იქ?

იმედა ჩაფიქრდა, შემდეგ პატიმარს ყურადღებით დააკვირდა და დაიწყო.

— ვიცი, რისთვისაც გინდა. შენზე მითხრეს, ისტორიებს აგროვებს, წიგნის დაწერას აპირებსო. ჩემზე თუ დაწერ, ნამდვილი სახელი არ ახსენო, მომიხსენიე, როგორც იმედა. იმედი რომ არა, ახლა აქ არ ვიქნებოდი... საქართველოში ვიყაჩაღეთ და ჩვენზე ძებნა გამოაცხადეს. ცხინვალის გავლით რუსეთში წავედით. ერთ წელში დამიჭირეს — ტაქსმა წესი დაარღვია, „გაიშნიკები“ დაედევნნენ და „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი“ შერჩათ ხელში. გადაამოწმეს, წამიყვანეს... ათას დოლარს ვაძლევდი გაიშნიკებს, არ გამიშვეს. არადა, ას დოლარად უშვებენ ხალხს.

საქართველოში რვა წელი მქონდა მისჯილი. არ ვიცი, რატომ, სასჯელის მოსახდელად ციმბირში გამიშვეს. ერთადერთი „გრუზინი“ ვიყავი... მისვლიდან ერთ კვირაში ოფიცერთან კამათი მომივიდა, ხელი გამარტყა. ზუსტად ვიცოდი, ვერ გადავრჩებოდი იქ და ხურდა დავუბრუნე. კარცერში ჩამსვეს. იცი, რას ნიშნავს იქაური კარცერი? ორი კვადრატული მეტრი საკანი, მუხლამდე აგურით ამოშენებული პარაშა, იატაკზე „უგოლნიკები“, რომ დაჯდომა ვერ მოახერხო და აკეცილი ნარი — ფიცარი, რომელსაც ღამის 12 საათზე შლიან და დილის შვიდზე კეცავენ. ვერ მოძრაობ, ვერ სუნთქავ, ვერაფერს აკეთებ. ერთი თვე ასეთ კარცერში ჯოჯოხეთია, მე კი ორი წელი, ორი თვე და 14 დღე მომიწია იქ ყოფნა. ბედნიერი მაშინ ვიყავი, როცა თითქმის ერთი წლის შემდეგ შემთხვევით თაგვი დავიჭირე საკანში. ახლაც არ ვიცი, საიდან შემოძვრა. სამი დღე მყავდა, პურს ვაჭმევდი, შემდეგ წრიპინი გაიგეს და წამართვეს. საკანში ნათურა 24 საათი ბჟუტავს, უფრო სწორად, ძირითადად, ციმციმებს... მხედველობაზე სწორედ მაშინ, ამის გამო „დამერხა“. შემდეგ ზონაზე დამაბრუნეს. სარკეში რომ ჩავიხედე, 32 წლის ჯან-ღონით სავსე კაცის ნაცვლად, ერთი გაძვალტყავებული, გაჭაღარავებული, თმაგაცვენილი და მხედველობადაკარგული კაცი მიყურებდა. ზონაზე ზარ-ზეიმით დამხვდნენ. უკვირდათ, ცოცხალი რომ გადავრჩი. მეც მიკვირს. სასჯელის მოხდის მერე, პირდაპირ გამომადეპორტეს თბილისში. აეროპორტში ჩვენებმა ამიყვანეს, იძებნებიო და გათავისუფლების საბუთი თავზე გადამახიეს... ასეთია ჩემი ისტორია. ახლა იმას მოგიყვები, რაც წიგნისთვის გამოგადგება.

იქიდან გაქცევას აზრი არ ჰქონდა. ზონიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი 180 კილომეტრში იყო. ტყე დაახლოებით 20 კილომეტრში იწყებოდა. მანამდე კი ტრიალი მინდორი იყო. მარტივად გიპოვიდნენ. შესაბამისად, გაქცევაზე ფიქრსაც არავინ ბედავდა. თან, ყოველ დილით ზონის გარშემო ცხენს ატარებდნენ. ცხენს ერთი თვისება აქვს — თუ ფეხქვეშ ორმოს, სიცარიელეს გრძნობს, ყალყზე დგება. გვირაბს ვერ გათხრიდი, ცხენის დახმარებით მიხვდებოდნენ. ცხენი ადგილობრივ მონადირეს ჰყავდა, რომელიც რომელიღაც ცხოველის ბეწვზე აკეთებდა ბიზნესს. ერთ დღეს ქურდებმა რამდენიმე კაცი დაგვიბარეს, გვირაბი უნდა გავთხაროთო. გავოცდით, მაგრამ თქვეს, რომ გვირაბი ღობემდე უნდა გათხრილიყო და გაქცევაზე არ უნდა გვეფიქრა. ძალიან დასუსტებული ვიყავი, თხრაში მონაწილეობა არ მიმიღია. სამი თვე თხარეს ბიჭებმა და როცა ღობემდე მივიდნენ, ქურდებმა თქვეს — ამაღამ ღობის იქით გათხრით ერთ მეტრს და იქვე ჩამოანგრევთ, ღობიდან ერთ მეტრში უნდა იპოვონ გვირაბი, უნდა ჩანდეს, თითქოს ჩამოგვენგრათ,

დილით სირენას გამყინავმა ხმამ გაგვაღვიძა. გვირაბი იპოვეს და ისინი, ვისი საკნიდანაც გვირაბი იწყებოდა, ზონიდან გააქრეს. ოთხივეს ქურდობა უნდოდა და ამ ტიტულს აუცილებლად მიიღებდნენ. ზონის უფროსი ცოფებს ყრიდა, გადარეული დარბოდა, როცა მასთან ერთ-ერთი პატიმარი მივიდა და უთხრა — მაგ ცხენს ზონის გარეთ რომ დაატარებთ, დაუყენეთ ერთი ჯარისკაცი და ზონის შიგნით იაროს. მიწა გაყინულია, მეტრზე მეტს ვერ გათხრიან ღამეში და თუ ღობემდე მივლენ, ცხენი შეგატყობინებთო. მართლაც, მეორე დღიდან ცხენს უკვე ზონის შიგნით ატარებდნენ, შეგეძლო, მოფერებოდი. სწორედ მაშინ მივხვდი მთელი ამ უაზრობის გენიალობას. ის მონადირე ქურდების მეგობრებმა გარეთ ნახეს, შეუთანხმდნენ, ფულს უხდიდნენ და ცხენმა ზონაზე ნარკოტიკისა და ფულის ტარება დაიწყო. უკანალში უკეთებდნენ ე.წ. ტორპედოს და კაპრონის ძაფი ძუაზე ჰქონდა მიბმული. გაუვლიდა რომელიმე პატიმარი ცხენს გვერდით, მეორე პატიმარი ჯარისკაცს გაართობდა და ხელის სწრაფი მოძრაობით ცხენს უკანალიდან ტორპედოს ულებდნენ. მარტო ნარკოტიკი და ფული კი არა, შაქარი, სამედიცინო წამალი, წერილები... ყველაფერი ცხენს მოჰქონდა. სამი წელი იარა ასე, მერე ცხენიც მოკვდა და ის მონადირეც წავიდა. ახალი ცხენი იშოვეს, მაგრამ იმ ცხენს უკვე ჯარისკაცები ატარებდნენ და აზრი დაკარგა მათთან მოლაპარაკებამ. ამის მიუხედავად, სამი წელი ზონაზე სამოთხე იყო. ნებისმიერი ნივთი მობილურის ჩათვლით, ცხენს მოჰქონდა. „არიოლი“ ერქვა იმ ცხენს...



1. ბნელში მანათებელი ქიმიური ელემენტი
2. ხელოვნური საერთაშორისო ენა
3. „ხელის ჭუჭყი“
4. ერთფეროვანი, მოსაწყენი სამუშაო
5. მასაჩუსეტსის შტატის დედაქალაქი
6. პარიზის აეროპორტი
7. სომეხთა მღვდელი
8. მიცვალებ. დასატირებელი საგალობელი
9. ამერიკული ლეოპარდი
10. შხამიანი გომბეშო
11. ოდისევსის ლათინიზირებული სახელი
12. ანტილოპას სახეობა
13. თვითმფრინავის ფრთის ნაწილი
14. ბუღალტრული აღრიცხვის შემოწმება
15. მისისიპის უდიდესი შენაკადი
16. ტყავის წვივსაკრავი
17. ავთანდ. ეროვნება „ვეფხისტყაოსანში“
18. დროის მაჩვენებელი ხელსაწყო
19. სახოტბო ლექსი
20. (კუთხ.) ღობეზე გადასასვლელი ადგილი
21. ჩუქურთმიანი ქვა ბეჭედში
22. სპარსეთის თანამედროვე სახელწოდ.
23. მომკილი თავთავის კონა
24. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
25. ძიუდოისტთა სამოსი
26. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
27. ავსტრალიის დედაქალაქი
28. გოგირდისთავიანი ხის პატარა ჩხირი
29. ფრანგი ფერმწერი
30. ყვირილას შენაკადი
31. ტოგოს დედაქალაქი
32. სამის მომდევნო რიცხვი
33. მედუდუკეთა ანსამბლი
34. მდინარე აფხაზეთში
35. ნემსა კონცხი სამხრეთ აფრიკაში
36. ორგანული წარმოშობის საწვავი
37. ყველაზე ცნობილი ირანელი ფეხბურთ.
38. იგივეა, რაც ფირნიში
39. საწერი ქაღალდის რაოდენობის ერთეული
40. მტკნარი წყლის დელფინი
41. მთათა მასივი ბალკანეთზე
42. მუსიკალ. გამის V ნოტი
43. ბურთის გასვლა მოედნიდან
44. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში
45. არამისის მსახური
46. ... კარდენი
47. სომალის დედაქალაქი
48. ჯავშნიანი ამფიბია
49. მყვინთავი ქალი იაპონიაში
50. ბედი, ბედისწერა
51. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
52. (ძვ.) პლანეტა იუპიტერი
53. პროფესიონალი მონადირე, ტყის მცველი
54. სამშენებლო მასალა
55. ქართული ანბანის მე-17 ასო
56. სოფელი სოხუმის რაიონში
57. ქალაქი რაჭაში
58. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
59. დაუკოდავი ხარი
60. საეკლესიო ზეთი
61. ტროპიკული ხე
62. ბროწეულის საწებელი
63. ბგერის გრაფიკული ნიშანი
64. ფრჩხილის ბუდის ანთება
65. ერთუჯრედიანი ცხოველი

# მწეველის მეუღლეს რეკორდულ კომპენსაციას გადაუხდიან



ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფილტვის კიბოთი გარდაცვლილი მწეველის მეუღლე თამბაქოს ერთ-ერთი კომპანიისგან რეკორდულ თანხას — 23,5 მილიარდ დოლარს მიიღებს კომპენსაციის სახით. ასეთი გადაწყვეტილება ფლორიდის სასამართლომ მიიღო. მაიკლ ჯონსონი 1996 წელს, 36 წლისა გარდაიცვალა, დიდი ალბათობით, მოწევის გამო. მან სიგარეტი პირველად 13 წლისამ გასინჯა და მას შემდეგ აქტიური მწეველი გახდა. 2008 წელს მეუღლემ სარჩელი შეიტანა თამბაქოს მწარმოებელი კომპანიის წინააღმდეგ. ქალის თქმით, ეს გიგანტი კომპანია არასაკმარისად ირჯებოდა, ადამიანებისთვის სიგარეტის მავნებლობაზე ინფორმაცია რომ მიეწოდებინა და ამ მიზეზით მაიკლი თამბაქოზე დამოკიდებული გახდა, შედეგად კი ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში კომპენსაციის თანხა გაბერილია და გადაუხდის თუ არა დაზარალებულის ოჯახს, ჯერჯერობით უცნობია.

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# „მეორად ალკოჰოლს“ ჰყიდიან



იაპონიის დედაქალაქში საკომისიო მაღაზია გაიხსნა, რომელიც სპირტიან სასმელს სარეალიზაციოდ იბარებს. აქ მსურველს შეუძლია მიიტანოს ყველანაირი სასმელი, თუკი მაგალითად საჩუქრად მიიღო, მაგრამ არ აპირებს მის დალევას, იქნება ეს საკე, ვისკი, ლიქიორი, არაყი, ღვინო თუ ლუდი. იაპონელთა პატარა ბინებისთვის ზედმეტი ნივთების პრობლემა ყოველთვის აქტუალურია, ფული კი ზედმეტი არასოდეს არის. მაღაზიაში მიტანილ პროდუქციას ერთადერთ მოთხოვნას უყენებენ — დაუზიანებელი უნდა იყოს შეფუთვა. საკომისიოში მყიდველს უცხოური წარმოების უამრავი სასმელის ან საინტერესო ეგზემპლარის შეძენა შეუძლია, რომელიც მრავალი წელი საოჯახო ბარებში იყო გამოკეტილი. ფასი ინდივიდუალურად დგინდება სასმელის იშვიათობისა და საბაზრო ღირებულების მიხედვით.

# პოლონელები ცრემლს აგროვებენ

პოლონეთში უჩვეულო ჩამბარებელი პუნქტი გაჩნდა. დაწესებულებაზე გამოკრული აბრა მიანიშნებს, რომ აქ „ცრემლს ყიდულობენ“. გახსნიდან რამდენიმე დღეში პუნქტი საკმაოდ პოპულარული გახდა ადგილობრივებში. მის წინ რიგი არა მხოლოდ დასახელების ორიგინალობის, არამედ იმის გამოც, რომ ცოტა ფულის შოვნა შეიძლება. საქმე ისაა, რომ ჩამბარებელ პუნქტში მართლა ცრემლებში იხდიან ფულს — 3 მილილიტრი 100 ზლოტი (დაახლოებით 32 დოლარი) ღირს. ერთადერთი პირობაა, რომ „პროდუქცია“ პირდაპირ ადგილზე „დაღვარონ“. მთავარი კითხვა, რაც უჩნდება ადამიანს — რაში სჭირდება დაწესებულების მფლობელებს ცრემლები? აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი არტ-პროექტია. ორგანიზატორები საკმარისი ცრემლების შეკრების შემდეგ მას სპეციალური ექსპოზიციის ნაწილად აქცევენ. ცრემლები არაფერი ღირს, მაგრამ ამავდროულად, შეუფასებელია. გვინდა, შევქმნათ კოლექცია, რომელსაც შემდგომში მუზეუმებსა და გალერეებში ვაჩვენებთ, — ამბობს აქციის ერთერთი ორგანიზატორი.



# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 9 | | | | | |
| 5 | | 3 | | | 7 | | | |
| | 9 | | 4 | 6 | | | | 1 |
| | | 2 | | 1 | 5 | | 9 | |
| 6 | | | | | | | | 8 |
| | 5 | | 3 | 8 | | 2 | | |
| 1 | | | | 7 | 4 | | 6 | |
| | | | 6 | | | 8 | | 4 |
| | | | | | 1 | 7 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | | 3 | | 2 | | | |
| 1 | | | 7 | | | | | |
| | 2 | 7 | | | | 8 | | 4 |
| | 1 | | | 3 | | 7 | | |
| 8 | 7 | | 1 | 9 | 6 | | 5 | 3 |
| | | 5 | | 2 | | | 1 | |
| 2 | | 1 | | | | 6 | 8 | |
| | | | | | 1 | | | 9 |
| | | | 2 | | 8 | | 7 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 1 | 7 | | 4 | | |
| | | | | | | | 9 | 2 |
| | 5 | 4 | 2 | | | 1 | | |
| | 8 | 3 | | 1 | | | 5 | 4 |
| | | | | | | | | |
| 6 | 4 | | | 3 | | 9 | 7 | |
| | | 2 | | | 8 | 7 | 1 | |
| 1 | 3 | | | | | | | |
| | | 5 | | 6 | 1 | | | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | | | 2 | | 1 | |
| 4 | 9 | | | 5 | | | 7 | 2 |
| | | | | | | 6 | 4 | |
| 8 | | | | | 1 | | | |
| | | | 7 | 4 | 3 | | | |
| | | | 9 | | | | | 4 |
| | 5 | 7 | | | | | | |
| 1 | 4 | | | 7 | | | 2 | 9 |
| | 8 | | 2 | | | 1 | | |

## უცებ გაღვიძება საშიშია



სწავლულებმა თელ-ავივის უნივერსიტეტიდან გაარკვიეს, რომ ძილის შეწყვეტა ისეთივე ნეგატიურ შედეგებს იწვევს, როგორც უძილობა. მეცნიერთა კვლევაში 100 ადამიანი მონაწილეობდა. ისინი საკუთარ სახლში იმყოფებოდნენ, წელზე კი სპეციალური მონიტორები ჰქონდათ მიმაგრებული, რომელიც ძილის დროს აფიქსირებდა. პირველ დღეს ექსპერიმენტში მონაწილეებს 8 საათი ეძინათ, მეორე დღეს კი მათ სატელეფონო ზარით აღვიძებდნენ, დაახლოებით ნახევარ საათში ერთხელ. შემდეგი 15 წუთის განმავლობაში ნებას არ აძლევდნენ, დაეძინათ. მოხალისეები ორივე დღეს, დილით კომპიუტერზე დავალებებს ასრულებდნენ, კითხვებს პასუხობდნენ. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ გამოუძინებელთა განწყობაც უარესი იყო და გონებრივი შესაძლებლობებიც. შემდგომ მოხალისეებს მხოლოდ 4 საათით ძილის ნება მისცეს ღამის განმავლობაში — შედეგი ზუსტად იგივე აღმოჩნდა.

## აისბერგების წყალს გაყიდიან



გრენლანდიის ხელისუფლება აპირებს, კუნძულზე 100%-იანი ყინულის წყლის წარმოება დაიწყოს და ისეთი ქალაქები მოამარაგოს, როგორიც, მაგალითად, ტოკიო ან ლოს-ანჯელესია. ცოტა ხნის წინ ქვეყანაში ტენდერიც გამოცხადდა იმ კომპანიის გამოსავლენად, ვინც აისბერგებიდან სასმელი წყლის ჩამოსხმას დაიწყებს და პროდუქციას საერთაშორისო ბაზარზე გაიტანს. ადგილობრივი ხელისუფლების მოსაზრებით, ამ უნიკალურ და ეკოლოგიურად სუფთა წყალზე, რომელიც კუნძულზე დაახლოებით 10 ათასი წლის წინ გაიყინა, მოთხოვნა დიდი უნდა იყოს, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც მტკნარი წყლის დეფიციტია. სასმელი წყლის წარმოებისთვის აისბერგებსა და მყინვარებს გამოიყენებენ, რომლებმაც დნობა დაიწყეს გლობალური დათბობის შედეგად. ამჟამად სპეციალისტები სამი მყინვარის წყლის თვისებებს სწავლობენ. გრენლანდიელები აცხადებენ, რომ ახალ პროექტში უცხოურ კომპანიებსაც ჩართავენ, თუმცა მათ არ მისცემენ უფლებას, მყინვარები მოგების მიზნით გამოიყენონ და ადგილობრივ მოსახლეობას არაფერი უწილადონ.

## ტროტუარი ტელეფონიანი ადამიანებისთვის

ვაშინგტონში, ერთ-ერთი სოციალური ექსპერიმენტისთვის, ტროტუარი გაყვეს ადამიანებისთვის, ვინც სიარულისას ტელეფონზე ლაპარაკობს და არ აქცევს ყურადღებას, რა ხდება ირგვლივ, მეორე ნახევარი კი იმათ დაუთმეს, ვინც ამ დროს არ იყენებს მობილურს და გზაზეა ორიენტირებული. ამ ექსპერიმენტს ტელეარხი National Geographic ატარებს. როგორც გადაღებაზე მეთვალყურე ადამიანები ამბობენ, პრაქტიკულად, არავინ აქცევს ყურადღებას ტროტუარზე მინიშნებებს. მხოლოდ ერთეული მოსიარულეები ჩერდებიან, რომ გამყოფ ხაზს ფოტო გადაუღონ.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 3 | 2 | 5 | 8 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 1 | 8 | 7 | 6 | 4 | 2 | 5 | 3 |
| 2 | 7 | 5 | 3 | 1 | 9 | 8 | 6 | 4 |
| 5 | 8 | 7 | 4 | 3 | 6 | 9 | 2 | 1 |
| 6 | 4 | 2 | 1 | 9 | 5 | 3 | 7 | 8 |
| 1 | 3 | 9 | 8 | 7 | 2 | 6 | 4 | 5 |
| 3 | 5 | 1 | 9 | 2 | 7 | 4 | 8 | 6 |
| 8 | 2 | 6 | 5 | 4 | 3 | 7 | 1 | 9 |
| 7 | 9 | 4 | 6 | 8 | 1 | 5 | 3 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 5 | 4 | 9 | 8 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 3 | 1 | 7 | 6 | 2 | 9 | 5 | 8 |
| 9 | 2 | 8 | 5 | 3 | 1 | 7 | 4 | 6 |
| 8 | 5 | 7 | 1 | 4 | 6 | 2 | 3 | 9 |
| 1 | 4 | 6 | 9 | 2 | 3 | 8 | 7 | 5 |
| 3 | 9 | 2 | 8 | 5 | 7 | 6 | 1 | 4 |
| 2 | 1 | 4 | 6 | 7 | 9 | 5 | 8 | 3 |
| 6 | 8 | 3 | 2 | 1 | 5 | 4 | 9 | 7 |
| 5 | 7 | 9 | 3 | 8 | 4 | 1 | 6 | 2 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 6 | 3 | 2 | 5 | 4 | 8 | 7 |
| 5 | 8 | 7 | 1 | 6 | 4 | 3 | 9 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 1 |
| 9 | 1 | 8 | 5 | 7 | 6 | 2 | 4 | 3 |
| 7 | 2 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 | 6 | 9 |
| 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 5 |
| 2 | 7 | 1 | 4 | 5 | 8 | 9 | 3 | 6 |
| 8 | 6 | 9 | 7 | 3 | 1 | 5 | 2 | 4 |
| 3 | 5 | 4 | 6 | 9 | 2 | 7 | 1 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 7 | 6 | 3 | 1 | 2 | 8 | 5 |
| 8 | 6 | 5 | 4 | 2 | 9 | 3 | 7 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 8 | 7 | 5 | 4 | 6 | 9 |
| 2 | 4 | 9 | 7 | 8 | 6 | 1 | 5 | 3 |
| 1 | 3 | 8 | 9 | 5 | 4 | 7 | 2 | 6 |
| 7 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 | 9 | 4 | 8 |
| 9 | 1 | 4 | 5 | 6 | 2 | 8 | 3 | 7 |
| 6 | 7 | 2 | 3 | 9 | 8 | 5 | 1 | 4 |
| 5 | 8 | 3 | 1 | 4 | 7 | 6 | 9 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 9 | 8 | 2 | 1 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 5 | 7 | 6 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 4 | 9 | 8 | 2 | 1 |
| 1 | 4 | 3 | 7 | 2 | 8 | 9 | 5 | 6 |
| 8 | 2 | 9 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 | 7 |
| 5 | 1 | 8 | 2 | 6 | 4 | 3 | 7 | 9 |
| 3 | 9 | 6 | 5 | 1 | 7 | 2 | 8 | 4 |
| 2 | 7 | 4 | 8 | 9 | 3 | 6 | 1 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 8 | 7 | 6 | 2 | 3 | 5 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 5 | 8 | 9 | 7 | 6 | 4 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 | 8 |
| 5 | 8 | 2 | 3 | 1 | 4 | 9 | 7 | 6 |
| 1 | 9 | 7 | 8 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 3 | 4 | 2 | 9 | 7 | 1 | 8 | 5 |
| 2 | 5 | 3 | 1 | 7 | 8 | 6 | 4 | 9 |
| 4 | 7 | 9 | 6 | 2 | 5 | 8 | 1 | 3 |
| 8 | 1 | 6 | 9 | 4 | 3 | 5 | 2 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 8 | 9 | 1 | 6 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 8 | 7 | 5 | 6 | 1 | 9 |
| 1 | 6 | 9 | 4 | 3 | 2 | 8 | 5 | 7 |
| 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 6 | 4 | 1 | 3 | 2 | 9 | 7 | 8 | 5 |
| 5 | 2 | 3 | 7 | 8 | 1 | 9 | 4 | 6 |
| 3 | 1 | 6 | 2 | 9 | 8 | 5 | 7 | 4 |
| 8 | 9 | 5 | 1 | 4 | 7 | 2 | 6 | 3 |
| 2 | 7 | 4 | 5 | 6 | 3 | 1 | 9 | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 2 | 8 | 9 | 5 | 7 | 4 | 3 |
| 7 | 5 | 9 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 8 |
| 8 | 4 | 3 | 7 | 1 | 2 | 9 | 6 | 5 |
| 5 | 3 | 7 | 2 | 4 | 1 | 8 | 9 | 6 |
| 4 | 8 | 6 | 5 | 7 | 9 | 3 | 2 | 1 |
| 2 | 9 | 1 | 6 | 3 | 8 | 5 | 7 | 4 |
| 1 | 2 | 5 | 9 | 8 | 6 | 4 | 3 | 7 |
| 3 | 7 | 8 | 1 | 2 | 4 | 6 | 5 | 9 |
| 9 | 6 | 4 | 3 | 5 | 7 | 1 | 8 | 2 |

მე-10 გვერდი: 1. კასტეტი; 2. ათეიზმი; 3. ტემპერა; 4. ტასო; 5. არტერია; 6. რარიტეტი; 7. ეისებიო; 8. იქსი; 9. ჰერმესი; 10. ნადალი; 11. კიოლნი; 12. აბანოზი; 13. კრასუსი; 14. აფრა; 15. ირტიში; 16. სკუნსი; 17. კენზო; 18. ბაირამი; 19. კორიფე; 20. შტაბი; 21. ლინზა; 22. ნეი; 23. ნიდაო; 24. აზდაკი; 25. ზარანდია; 26. ტორტი; 27. ენიო; 28. ელი; 29. მნე; 30. რტო; 31. ზებრა; 32. რავიოლი; 33. „რერო"; 34. იმოლა; 35. შუ; 36. ზრო; 37. ბივრილი; 38. ფისი; 39. ალიბი; 40. ელი; 41. ებრო; 42. რანტიე; 43. მურეი; 44. სოფია; 45. ფა; 46. ბუასტი; 47. „ავეო"; 48. თრია; 49. შაპიტო; 50. არტელი; 51. რა; 52. ადენომა; 53. ლავა; 54. გულადი; 55. სერი; 56. ლომი; 57. ტალინი; 58. სოლი; 59. ბაო; 60. თიმფუ; 61. პაი.

მე-12 გვერდი: 1. კლიფსი; 2. ლითოსფერო; 3. ფრეილინა; 4. ბრამსი; 5. რუზველტი; 6. მოურავი; 7. მთიები; 8. ისტორია; 9. ჯიში; 10. მზიური; 11. მავრიტანია; 12. ლიდსი; 13. ალისა; 14. ემალი; 15. ფსიტი; 16. იმირი; 17. ეტნა; 18. მაორი; 19. ღლავი; 20. ტვიდი; 21. ომნიბუსი; 22. რკო; 23. რიონი; 24. ჩალა; 25. ტრიუფელი; 26. კეტი; 27. რობერტ დაუნ-უმცროსი; 28. დიდრო; 29. როდ; 30. არიეტა; 31. ჩინი; 32. ფრაზა; 33. ბანკეტი; 34. იდო; 35. იონა; 36. „აუდი"; 37. ზეგანი; 38. ფერმატა; 39. ეირე; 40. ერინ; 41. „ლელა"; 42. იუნგა; 43. რაბი; 44. ალან; 45. აბრისი; 46. იშთარი; 47. ფაქსი; 48. როდენი; 49. ტაპიორი; 50. პარადი; 51. ბრაუნი; 52. ტვენი; 53. თბილისი; 54. რე; 55. რეცესია; 56. კაკა; 57. თარი; 58. კიი; 59. კურო; 60. ფრე; 61. შიოლა; 62. ბუერი; 63. ჰანოი; 64. ცვილი; 65. ოცი; 66. დირე; 67. ესე; 68. ეფა; 69. ნიკო; 70. ფაი; 71. ნისია; 72. ურია; 73. ავა; 74. სარი; 75. საკე; 76. კარავაი; 77. დისპაში; 78. ფილ; 79. რიფი; 80. ცური; 81. ფოიე; 82. ლაკროსი; 83. პან; 84. ელინგი; 85. იმბეცილი; 86. ორე; 87. ადამი.

1. ლამაზი ნათურა ქუჩის გასანათებლად
2. რეზინული შენარევების ვულკანიზაციით მიღებული მაგარი მასალა
3. ცნობილი ფრანგი ფეხსაცმლის დიზაინერი
4. ქმრის ძმა
5. ჩინეთის ეროვნული ვალუტა



6. ალ. მაკედონელის ცხენის სახელი
7. თავის თავზე შეყვარებული ადამიანი
8. სასვენი ნიშანი
9. სიარულის უნარის დაკარგვა
10. ქალაქი რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში
11. ეკლიანი ბალახი
12. ნაყოფიერების რომაული ქალღმერთი
13. სამუზეუმო ექსპონატების გამოფენა
14. მოზაიკის პატარა ფერადი ქვა
15. აზროვნების ორგანო
16. კოსმეტიკური ფირმა „...-ფაქტორი“
17. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
18. ჰოლივუდის ვარსკვლავი ... თურმანი
19. მაყურებ. მოსაცდელი დარბაზი თეატრში
20. „სიამოვნების კუნძული“ წყნარ ოკეანეში
21. „ბითლზის“ ლიდერი ... მაკარტნი
22. ალისას ლიტერატურული „მამა“ ... კეროლი
23. გრძელყელიანი გოგრა
24. ფერმა ლათინურ ამერიკაში
25. გაზაფხულის ყვავილი
26. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა
27. იტალიის საფეხბურთო კლუბი
28. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი ჭაბუკი
29. პოეტური გამოცანა
30. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი
31. ცომის მოხარშული წვრილი ნაჭრები
32. რუსული ესტრადის პრიმადონა
33. მაიმუნის ჯიში
34. კუნძული ლა-მანშის სრუტეში
35. ცალკეული ნომრებისგან შედგ. საესტრ. წარმოდგენა
36. ტანზე შემოჭერილი სპორტული კოსტიუმი
37. ტიპოგრაფიული შრიფტის სახეობა
38. სინათლე ბავშვის ენაზე
39. მსახიობი ... რივზი
40. ქალის ვარცხნილობა
41. ალასკის შტატის უდიდესი ქალაქი
42. ბუჩქოვანი მცენარე
43. ზრდილობიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
44. კორიდის ერთ-ერთი მონაწილე
45. მსხლის ერთ-ერთი ჯიში
46. ფარული დაცინვა
47. ლექსის სტრიქონი
48. „სამეფო“ ფორტეპიანო
49. ძვ. ფრანგული ოქროს ფული
50. სიგრძის საზომი ერთეული ძვ. საქართ.
51. სკანდინავიური თქმულება
52. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
53. მაყურებლისათვის განკუთ. სართული თეატრში
54. შხამიანი გომბეშო
55. დახრილი შრიფტი
56. სოფელი ხაშურის რაიონში
57. ფრანგთა ეროვნული გმირი ჟანა ...
58. ჭამის სურვილი
59. მამალი ცხვარი
60. კითხვებიანი ფურცელი
61. თანამედროვე ბრაზილიელი მწერალი პაულო ...
62. თურქეთის საკურორტო ქალაქი
63. ფეხის ქვედა ნაწილი
64. ტროპიკული ხვიარა მცენარე
65. საქორწინო გამოსასყიდი აღმოსავლეთში
66. ღამის ფრინველი
67. მთა წალკის რაიონში
68. სპარსი პოეტი ... ხაიამი
69. დიდი მუწუკი
70. წისქვილის ქვა
71. შხამიანი მცენარე
72. ღამის ანტონიმი
73. მილანის ოპერის თეატრი „...-სკალა“
74. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
75. ნამდვილად არსებული ნივთი
76. მწერალი ... ტოლსტოი
77. საჯარისო შენაერთი
78. ლატვიის ეროვნული ვალუტა
79. მდინარე თერგის ხეობის მონაკვეთი
80. იგივეა, რაც ცვარი
81. მუსიკალური გამის III ნოტი
82. ქალაქი საფრანგეთში
83. ტბა ფინეთში
84. რუსეთის ფედერაციის სუბიექტი
85. ყირგიზეთის ეროვნული ვალუტა
86. დამუხტული ატომი
87. რეჟისორი ... ბესონი



# ყველაზე სექსუალურები ისევ იტალიელები არიან

ერთ-ერთი ტურისტული კომპანიის — GoEuro-ს სპეციალისტები დაინტერესდნენ, რომელი ქვეყნის წარმომადგენლებს მიიჩნევენ ევროპაში ყველაზე სექსუალურებად და მიმზიდველებად. მათ გამოკითხვა ჩაატარეს, რომელშიც „ბებერი კონტინენტის“ 50 ათასი მცხოვრები მონაწილეობდა, ასაკი კი 18-დან 35 წლამდე იყო. გამოკითხვისას უნდა ეპასუხათ, რომელი ეროვნების ადამიანთან ისურვებდნენ საკურორტო რომანის გაბმას. სუსტი სქესის წარმომადგენლებმა ყველაზე მიმზიდველებად და სექსუალურებად იტალიელი მამაკაცები დაასახელეს, ხოლო კაცები ფიქრობენ, რომ ყველაზე ტემპერამენტიანი მანდილოსნები ესპანეთში ცხოვრობენ. ყველაზე მომხიბვლელი მამაკაცების ქვეყნების რეიტინგის ლიდერთა სიაში მოხვდა ასევე ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, პორტუგალია. ყველაზე სექსუალური სუსტი სქესი კი, გამოკითხვის მიხედვით, ესპანეთის შემდეგ საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ჰოლანდიასა და პორტუგალიაში ცხოვრობს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.